გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული" ეროვნული

ვერსია

№117 (873) 8 - 10 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

არჩილ კბილაშვილი გადადგა

?

ვინ გახდება მთავარი პროკურორი

ლაშა ნაცვლიშვილი
გიორგი გაბიტაშვილი
მაია მწარიაშვილი
ზაქარია ქუცნაშვილი
თინათინ ხიდაშელი
კახა კახიშვილი

გვ. 3

რა აკავშირებს ზაზა ხატიაშვილს ზურაბ ადეიშვილსა და მიხეილ მაჭავარიანთან?!

გვ. 8

შსს-ს სტატისტიკა — დანაშაულმა იკლო, გახსნილი საქმეების რაოდენობა გაიზარდა

გვ. 7

ვინ აბრუნებს საქართველოში ჯოზეფ კეის

გვ. 8

„ვიღაცის ჩასვრილს ჩვენ ნუ გვაბრალებთ!"

გვ. 2

„არაოფიციალური მონაცემით, ამ პროექტში 600 მლნ დარი დაიხარჯა, რომლის დიდი ნაწილი „აცვაცებად" წავიდა"

გვ. 5

რატომ გათქვა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო საიდუმლო და სჭირდება თუ არა თბილისს თავდაცვითი ზღუდე

იანვარ-თებერვალში გაზის სეზონური ტარიფი უნდა ამოქმედდეს?

გვ. 6

ლიბერთი ბანკმა ახალი საკრედიტო ბარათი Shopping Card გამოუშვა

გვ. 7

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

საქართველოს, შესაძლოა, ვალის აღება მოუხდეს

საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად, შესაძლოა, საგარეო ან საშინაო ვალის აღება მოუხდეს, — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე. მისი თქმით, საგადასახადო შემოსავლების შემცირება ეკონომიკის ზრდის ტემპის კლებას უკავშირდება: **„საგადასახადო შემოსავლები გათვლილი იყო 6%-იან ზრდაზე. რეალურად, ჩვენ გვაქვს 1,7%-იანი ზრდა, რაც წლის ბოლომდე შეიძლება მაქსიმუმ 2%-მდე გაიზარდოს. ეს ჩამორჩენა განაპირობა იმან, რომ ქვეყანაში უფრო ნაკლები ეკონომიკური აქტივობა იყო, ნაკლები ბიზნესგარიგება შედგა და შესაბამისად, ნაკლები თანხა შევიდა ბიუჯეტში. ამიტომ მივიღეთ გეგმისგან ჩამორჩენა. რა თქმა უნდა, ეს კატასტროფა არ არის და ჩვენი რესურსი გაწვდება იმას, რომ კლების შედეგად წარმოქმნილი დეფიციტი დაბალანსდეს და ვალდებულებებს საფრთხე არ შეექმნას. თუმცა, არსებობს დეფიციტის აღმოფხვრის რამდენიმე გზა – შიდა და გარე ვალის აღება, რამე ობიექტის გაყიდვა ან პრივატიზაცია და სხვა არასაგადასახადო შემოსულობების ზრდა“.**

ლექვინაძის განმარტებით, ამ ეტაპზე ყველაზე რეალურია საგარეო ან საშინაო ვალის აღება, რის შედეგადაც ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, საკრედიტო განაკვეთი იზრდება: **„არა მგონია, მთავრობა სეკვესტრის ნაბიჯზე წავიდეს. დანაკლისი ობიექტურია პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, რომელიც გვქონდა 2013 წლის მანძილზე. ეს ჩავარდნა და ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება კოჰაბიტაციის რეჟიმმა გამოიწვია“.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი შემოსავლების ნაწილში წელს ვერ შესრულდება.

„ინტერპრესნიუსი“

პროკურატურა გურამ ჩალაგაშვილისთვის ბრალის მოხსნას უარყოფს

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ბრალდების საქმის არსებითი განხილვა ქუთაისის სასამართლოში ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. სემეკ-ის ყოფილი თავმჯდომარის, გურამ ჩალაგაშვილის ადვოკატი თეიმურაზ მესხი კი ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ გურამ ჩალაგაშვილის საქმე ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან გამოიტანა და მას ბრალი მოუხსნა.

გურამ ჩალაგაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. პროკურატურის ცნობით, ჩალაგაშვილმა ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში ელექტროენერგიის ჩაქრობა გადაწყვიტა, იგი ქუთაისის „ენერგო პრო ჯორჯიას“ დაუკავშირდა, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობის მეოთხედს რამდენიმე წუთის განმავლობაში დენი არ მიეწოდებოდა. ჩალაგაშვილს აღკვეთის ღონისძიებად, 3 000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული.

„პირველი“

„ვიღაცის ჩასვრილს ჩვენ ნუ გვაბრალებთ!“

ვის უწოდებს „ახირებულ ქართველებს“ და რატომ არ უწინასწარმეტყველებს ხელისუფლებაში დაბრუნებას ნაციონალებს ზაზა პაპუაშვილი

ირუსუდან შელია
557-100-768

საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის მეორე ადგილზე გასვლაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. ამბობს, რომ მთავარი ყოველთვის გამარჯვებაა. არ ვარაუდობს, რომ ნაციონალები ოდესმე შეძლებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. რატომ ფიქრობს, რომ პარლამენტსა და მთავრობას დახვეწა სჭირდება და რატომ მოუწოდებს საზოგადოებას მხარდაჭერისკენ? „ვერსია“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს ზაზა პაპუაშვილს ესაუბრა.

— ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ქვეყანას ატყუებდა, ისტერიკულ ვითარებას ქმნიდა და ადამიანებს ფსევდოღირებულებებით კვებავდა, ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდება. ამ ბანდის უფროს მიხეილ სააკაშვილსაც დღეები დათვლილი აქვს. მათ მიერ სულიერად და ფიზიკურად ტრავმირებულ ქვეყანას მკურნალობა და ჭრილობების მოშუშება სჭირდება.

— საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის 22%-ით გასვლა არ არის იმის მანიშნებელი, რომ სააკაშვილის პარტია ამომრჩევლის ნდობის აღდგენას იწყებს?

— მეორე ადგილზე გავიდნენ, ბრინჯაოს მედალი მიიღეს თუ დაფნის გვირგვინი დაიდგეს თავზე, ნაკლებად მაინტერესებს — მე ყოველთვის გამარჯვებას ვზეიმობ. წლების განმავლობაში სწორედ ამისთვის ვიბრძოდით და ნანატრი დღეც ჯერ პირველ ოქტომბერს, შემდეგ კი 27 ოქტომბერს დადგა. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილს, რომელიც სისხლგაწყალებული აღმოჩნდა, აქვს განცდა, რომ რაღაც დააკლდა. ასეთებს ახირებულ ქართველებს ვუწოდებ.

— განსხვავებული აზრისა და ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილო ადამიანები თქვენში ასეთ ასოციაციას იწვევს?

— არა, უბრალოდ, მეტი მოთმინება გვმართებს. ყველა სურვილი ისე უცებ არ სრულდება, როგორც ზღაპარში და არც სახელმწიფო ამ პრინციპით. საქართველო არც ისე დიდი ხნის წინ, დენთის კასრზე იჯდა, ხალხი ტერორში იყო და ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, ამის შემოქმედნი კი ნაციონალი მამები იყვნენ.

— ამ ფონზე, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი დააკავონ?

— ულტრალიბერალი არ ვარ. ვუსმენ ადამიანებს, რომლებიც აცხადებენ, რომ სააკაშვილის დაპატიმრება ქვეყნის იმიჯს დააზარალებს, მაგრამ განსხვავებული პოზიცია მაქვს. არ მივეკუთვნები მათ, ვინც ფიქრობს, რომ სააკაშვილის დაპატიმრებას დასავლეთი ვერ გაიგებს და არადემოკრატიულ ნაბიჯად აღიქვამს. მაშინ, იმ ადამიანებს რა პასუხი გავცეთ, რომლებიც ამბობენ, რომ პრეზიდენტის თანამდებობა ინდულგენცია არ არის და დამნაშავე კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. რადგან დეპუტატი ვარ, ქუჩაში გავიდე, გამვლელს ბოთლი ჩავარტყა და ვუთხრა, ვალდებული ხარ, ჩემგან მოითმინო-თქო? ამ ადამიანებმა ვიწრო წრე შეკრეს, ქვეყანაში უზნეო „ტუსოვკები“ მოიწყვეს, შემდეგ სასტუმროები და საროსკიპოები აიშენეს, ხალხს კი ლუკმა პური ენატრებოდა. ყველა მათგანს „ბამბანერკა ქართველები“ ვუწოდე.

— ამის მტკიცებულებები არსებობს? თავდაცვის ყოფილი მინისტრის შესახებ პროკურატურამ სათანადო მტკიცებულებები სასამართლოს ვერ წარუდგინა, რის გამოც ბაჩო ახალაია უკვე ორ საქმეზე გაამართლეს.

— უნდა გვესმოდეს, რომ ქართული საზოგადოების მოწამლულ სულსა და გონებას ერთ ან ორ წელიწადში სრულად ვერ გამოვაჯანმრთელებთ. ვინც ნაციონალური მოძრაობის პერიოდში მუშაობდა, თითქმის ყველას სამსახური შეუნარჩუნდა. ადამიანებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ, შანსი მივეცით, თავისუფალ გარემოში, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ემსახურათ. სამწუხაროდ, ვიღაცამ ეს შანსი გამოიყენა, ვიღაცამ ვერა. ხარვეზების გამოსწორებას დრო სჭირდება... რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, მისი საქმე ჯერ კიდევ სამ ინსტანციაში უნდა განიხილონ. ნუ ავჩქარდებით. დასკვნებს წინასწარ ნუ გამოვიტანთ. საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჩვენ მემკვიდრეობად მავთულხლართები, იპოთეკით დაზარალებული უამრავი მოქალაქე და უკანონოდ ქონებაჩამორთმეული ხალხი დაგვხვდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ბიზნესმენი „დაჩმორდა“ და ხმა ვერ ამოიღო, არადა პირველ რიგში, მათ უნდა ისაუბრონ ამ საკითხებზე ხმამაღლა. ჩვენ ამ ბოროტებას ვებრძოდით...

— ბიზნესმენები დიდი ხანია ითხოვენ წართმეული ქონების დაბრუნებას და ამის შესახებ პროკურატურაშიც უამრავი საჩივარი შევიდა, მაგრამ ივანიშვილის პოზიციაა, რომ ქონების დაბრუნება ეკონომიურ კოლაფსს გამოიწვევს.

— პროკურატურა წართმეულ ქონებას ვერ დააბრუნებს. საქმის სირთულეც სწორედ ესაა. ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი გამოწვევა დასაქმებაა. ამისთვის მალე საინვესტიციო ფონდები ამუშავდება და საშუალო და მცირე ბიზნესიც ამოისუნთქებს. ასე რომ, ვიღაცის ჩასვრილს ჩვენ ნუ გვაბრალებთ. ბოროტი თესლი ამოვძირკვეთ და კეთილი დავთესეთ. ახლა უნდა დაველოდოთ.

— ბიძინა ივანიშვილმა ახალი პრემიერის წარდგენისას აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი დაიხვეწება. ეს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე მინიშნებაა?

— საქართველოს პარლამენტი მთავრობასთან ერთად დაიხვეწება. რა თქმა უნდა, უშეცდომო არავინაა, მაგრამ წინა მოწვევის პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კი არა, სანოტარო კანტორა იყო, რომელიც ნებისმიერ გადაწყვეტილებას მექანიკურად აფორმებდა. წლების განმავლობაში ქართველები ან ქრთამს ვიღებდით ან ვაძლევდით, ტვინი ასე გვქონდა მოწყობილი, ამიტომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება გულზე და ტვინზე ცუდად არ მომდებია და საგანგაშოც არაფერია. სხვათა შორის, პირადად მე, როგორც დეპუტატი, ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ წინ წავედი და ჩემთვის საკანონმდებლო ცხოვრება ბევრად ნათელი გახდა. როცა პარლამენტის დახვეწაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველ რიგში, ჩვენი ქვეყანაა დასახვეწი. საზოგადოებაც უნდა დაიხვეწოს, რადგან რეალურად, ანალიზის უნარის ნაკლებობაა.

— ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გადასვლის შემდეგ ეს პრობლემა მოგვარდება?

— ბიძინა ივანიშვილი არ არის მესია, მას ბრწყინვალე ქართველ ადამიანად აღვიქვამ, რომელსაც სამშობლო უსაზღვროდ უყვარს. რაც შეეხება მის სამოქალაქო სექტორში გადასვლას, ჩვენ ყველამ ერთმანეთი უნდა გავზარდოთ. მთავრობამ ხალხთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს, საზოგადოებამ კი — მმართველი გუნდის არგუმენტირებული კრიტიკა. ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ასე განვითარდება.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრი თელავში „ერეკლეობას“ დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თელავს სახალხო დღესასწაულ „ერეკლეობაზე“ ეწვია. მინისტრი ერეკლე მეორის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ქართველი მეფის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაესწრო.

ირაკლი ღარიბაშვილი ასევე დაესწრო თელავის ცენტრში, ერეკლე მეორის მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებებს.

სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ მეფე ერეკლე მეორის იუბილეს აღსანიშნავად თელავში ტრადიციულად, ყოველი წლის 7 ნოემბერს იმართება.

„ვერსიანიუსი“

არჩილ კბილაშვილი გადადგა! ვინ დაიკავებს მთავარი პროკურორის თანამდებობას?

ვინ არის შესაფერისი კანდიდატურა? — პოლიტიკურ კულუარებში კბილაშვილის შემცვლელის ვინაობა უფრო აქტუალურია, ვიდრე მისი გადადგომის ჭეშმარიტი მიზეზები. როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, საუბარია 5 კანდიდატურაზე: მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, მთავარი პროკურორის მეორე მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი, თბილისის მთავარი პროკურორი მაია მწარიაშვილი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი, დეპუტატი თინათინ ხიდაშელი და ექსპერტი კახა კახიშვილი.

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

საქართველოს მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა 2013 წლის 7 ნოემბერს საგანგებო ბრიფინგი გამართა და თანამდებობიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. კბილაშვილი პოსტს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, 17 ნოემბერს დატოვებს, თვის ბოლოს კი, ბიძინა ივანიშვილთან ერთად სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლებს.

„რატომ მივდივარ?“ — არჩილ კბილაშვილმა საზოგადოებას დაასწრო, მთავარი კითხვა თავად დასვა და თავადვე უპასუხა. მიზეზს ერთი ფრაზაც დაიტევს — კბილაშვილი თავის ადგილს სამოქალაქო სექტორში, ივანიშვილის გვერდით ხედავს, ოფიციალური განმარტება კი, გაცილებით ვრცელი იყო. კბილაშვილმა, კიდევ ერთხელ ისაუბრა იმაზე, რომ მთავარი პროკურორის პორტფელის დაუფლება, თავის დროზე, მისი ოცნება არც ყოფილა — პროფესიონალ მოსამართლეობაზე ვოცნებობდიო, — მსგავსი განცხადება მთავარ პროკურატურაში მისვლამდეც გააკეთა, წასვლისას კი დასძინა: **„პრემიერ ივანიშვილის წყალობით, საშუალება მომეცა, პირველად ჩემს ცხოვრებაში, მემსახურა სახელმწიფო სამსახურში და თანაც ესოდენ მაღალ თანამდებობაზე... მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერმა პოლიტიკიდან წასვლა და სამოქალაქო სექტორში გადასვლა გადაწყვიტა, არაერთხელ მისაუბრია მასთან, რომ ჩემი გამოცდილებითა და ცოდნით მხარში ამოვდგომოდი... იგი მეუბნებოდა, რომ თანამდებობის დატოვება ჩემთვის ნაადრევია, მე კი ვფიქრობ, რომ თანამდებობაზე ჩემი მოსვლა მოხდა ნაადრევად, რადგან წინა რეჟიმს მართლმსაჯულების კარი უხეშად რომ არ ამოეგმანა, არც პოლიტიკისკენ და არც თანამდებობისაკენ გამხედავი არ ვიყავი, ყოველ შემთხვევაში 41 წლის ასაკში, როგორც ეს ჩემს სინამდვილეში მოხდა“.**

მთავარ პროკურორად კბილაშვილის მოსვლა ნაადრევი რომ იყო, პოლიტიკურ კულუარებში ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ, როცა მისი კანდიდატურა განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კვალიფიციური იურისტია, სამართალმცოდნეები ეჭვქვეშ აყენებდნენ პროკურატურაში მის წარმატებულ მუშაობას. ამბობდნენ, რომ პროკურატურაში, გამოძიებასთან მუშაობა დამატებით გამოცდილებას მოითხოვს, რაც კბილაშვილს არ ჰქონდა. ამ ფონზე, არ იყო გასაკვირი, რომ მთავარი პროკურორის რანგში კბილაშვილის პოლიტიკური მომავლის შესახებ, არცთუ სასიამოვნო პროგნოზი კეთდებოდა, თუმცა მაშინ ითქვა ისიც, რომ გარდამავალ, კოჰაბიტაციურ პერიოდში, ივანიშვილს სწორედ ლიბერალი პროკურორი სჭირდებოდა.

„გარდამავალი პერიოდი“ კბილაშვილის უწყებისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა. მისი გუნდის წევრებიც კი ხშირად „ამკობდნენ“ მას კრიტიკით. გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ კი, კრიტიკის ქარცეცხლი გაძლიერდა. „კბილაშვილმა, როგორც პროკურორმა შესაბამისი სიმკაცრე ვერ გამოიჩინა“; „მთავარი პროკურატურა საქმეს თავს სათანადოდ ვერ ართმევს“; „კბილაშვილის უწყება ივანიშვილის მთავრობის სუსტი რგოლია“... მსგავს განცხადებებზე პასუხის გაცემა კბილაშვილს აქამდეც უწევდა, დღეიდან კი, ალბათ იმაზეც მოუწევს პასუხის მოძებნა, რატომ არ გამოიძია თანამდებობაზე ყოფნისას 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის გახმაურებული საქმეები, რატომ ვერ წარმოადგინა ნაციონალების მაღალჩინოსნების, განსაკუთრებით კი, ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ისეთი მტკიცებულებები, რომ მათთვის, არაერთ მნიშვნელოვან ეპიზოდში სასამართლოს ბრალი არ მოეხსნა? ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ რატომ ვერ დასრულდა ვერც ერთი გახმაურებული საქმე იმ შედეგით, რომელსაც ხალხი ელოდა? რატომ არ გამართლდა საზოგადოების ყველაზე დიდი იმედი სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით?

კბილაშვილს არ უკვირს, რომ მოქალაქეთა წყრომის ადრესატი გახდა: **„პროკურატურის საქმიანობა იმ პოლიტიკით იყო ნასაზრდოები, რომელიც ხალხში კოჰაბიტაციის სახელითაა ცნობილი, ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ვარ კოჰაბიტაციით განაწყენებულ მოქალაქეთა წყრომის ადრესატიც, თუმცა მივიჩნევ, რომ პრემიერ ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში ზომიერებითა და დაბალანსებულობით გამოირჩეოდა, ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო. ეს არ ნიშნავს, რომ ვერ ვხედავდი ან მომწონდა ნაკლოვანებები, რაც პროკურატურის სისტემას მემკვიდრეობით ერგო... განვლილი ერთი წელი საქართველოს პროკურატურისთვის რეპრესიიდან ლიბერალიზაციისკენ გარდამავალი პერიოდი იყო. ჩვენ ხელი ავიღეთ სასამართლოს კონტროლზე, გაიზარდა ადვოკატთა უფლებები, შევამცირეთ დაჭერები, გავათავისუფლეთ უკანონოდ ბრალდებულები, სისხლის სამართლებრივ დევნას ჩამოვაშორეთ ფისკალური ეფექტი და შევეცადეთ, ხალხისთვის გვეჩვენებინა, რომ სამართალი არ იყიდება... არ უარვყოფ, პროკურატურის გარდაქმნისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დროსთან დაკავშირებით, ჩემი და პრემიერის მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ეს შეეხება დროს და არა პრინციპს. პრემიერიც ფიქრობს, რომ საქართველოში ევროპული ტიპის პროკურატურა უნდა შევქმნათ, ოღონდ მე შედარებით სწრაფი მოქმედებების მომხრე ვარ. დრო აჩვენებს, რამდენად ვცდებოდი. იმის გამო, რომ პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, მთავარ პროკურორს ევალება, პრემიერის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას მისდიოს“.**

გაუჭირდებოდა თუ არა კბილაშვილს მომავალი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის გატარება? კბილაშვილ-ღარიბაშვილს შორის არსებული რაიმე ტიპის დაპირისპირება ხომ არ გახდა მისი გადადგომის მიზეზი? — ამ კითხვებს პასუხი დაასწრო მთავარმა პროკურორმა და განაცხადა: **„არავითარი უთანხმოება ჩემსა და მომავალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არ არსებობს. ჩვენ ერთმანეთის გვერდით მოგვიწია მუშაობა და ჩვენს შორის ღირსეული, კოლეგიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენს კოლეგებთან ერთად, არაერთი დღე და ღამე გაგვიტარებია დანაშაულთან ბრძოლაზე ფიქრში. ირაკლი ღირსებითა და წესიერებით სავსე ადამიანია“.**

კოჰაბიტაცია დასრულდა. პრემიერი მიდის. ქვეყნის მთავარი პროკურორი გადადგა... ჩანს, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ახალი ეტაპი იწყება. ამ ეტაპზე კი, სავარაუდოდ, ისეთი პროკურორია საჭირო, რომელიც კბილაშვილისგან განსხვავებით, სათანადო სიმკაცრეს გამოიჩენს, სამართლიანობას აღადგენს, „დამნაშავე ნაციონალებს გაასამართლებს“ და იქნებ, მიხეილ სააკაშვილიც კი დასვას საბრალდებო სკამზე.

პოლიტიკურ კულუარებში კბილაშვილის წასვლა ჯერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველეს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პროკურატურაში ბევრ საკითხს ლაშა ნაცვლიშვილი წყვეტს და ფაქტობრივად, ის მართავს უწყებასო. შესაბამისად, გაჩნდა მოლოდინი, რომ მთავარ პროკურორს მისი პირველი მოადგილე შეცვლის. ლაშა ნაცვლიშვილს სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის პროკურატურაში, ასევე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მუშაობდა, იყო უშიშროების მინისტრის მოადგილეც. პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, დეპუტატის მანდატი ჩაიბარა და რესპუბლიკურ პარტიაში განევრიანდა, თუმცა მოგვიანებით, პარტიის რიგები დატოვა. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატის მანდატი ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს პარტიული კვოტით მიიღო, თუმცა სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა მას შემდეგ, რაც 30 ოქტომბერს შს მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა. სწორედ ამ უწყებიდან გადავიდა ნაცვლიშვილი პროკურატურაში. ბატონი ლაშა არაერთხელ გაეხვია სკანდალში, მის წინააღმდეგ არაერთი ბრალდებაც გაჟღერდა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ნაცვლიშვილს რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაც დასწამეს. ამ ფონზე, კულუარებში ამბობენ, რომ შესაძლოა, ღარიბაშვილმა, მისი კანდიდატურის დაყენებისგან თავი შეიკავოს. ამბობენ იმასაც, რომ თავად გენერალ ნაცვლიშვილსაც, „რუხი კარდინალის“ როლში ყოფნა უფრო ხიბლავს და თანახმაა, მთავარ პროკურორად მისი კადრი მაია მწარიაშვილი დაინიშნოს.

მაია მწარიაშვილის კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობის არაერთი წევრი მიესალმება. მასაც პროკურატურაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს — მთავარ პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილს ხელმძღვანელობდა და აქვს მოსამართლის გამოცდილებაც. პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ მწარიაშვილის კანდიდატურას რესპუბლიკელებიც ლობირებენ და მისი დასახელება-არდასახელების შემდეგ გამოჩნდება, გაიზრდება თუ არა კოალიციაში ამ პარტიის გავლენა. ეს იმ შემთხვევაშიც გაირკვევა, თუ კანდიდატად რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი დასახელდა, თუმცა ირინა იმერლიშვილის მტკიცებით, კატეგორიულად არ განიხილება სამართალმცოდნე დეპუტატის, თავის დროზე ღია საზოგადოება – საქართველოსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველის, ამჟამად დეპუტატის, ხიდაშელის კანდიდატურა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე.

დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი პროფესიით იურისტია. საკმაოდ საინტერესო საადვოკატო გამოცდილება აქვს. თავის დროზე სადაზღვევო კომპანია „არგანის“ გენერალური დირექტორის მოადგილე გახლდათ სამართლებრივ საკითხებში. მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატშიც. არის ასოციაცია „კანონი ხალხისთვის“ თავმჯდომარე, ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ფ/პ ზაქარია ქუცნაშვილის საადვოკატო ბიუროს უფროსი. ის გახლავთ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის დამფუძნებელი, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ ქუცნაშვილს არც ისე დიდი შანსი აქვს, მთავარი პროკურორი გახდეს — მის კანდიდატურას, სავარაუდოდ ისინი გადაწონიან, რომლებსაც პროკურატურაში მუშაობის გამოცდილება ასე თუ ისე აქვთ.

სათანადო გამოცდილება აქვს მთავარი პროკურორის მეორე მოადგილეს გიორგი გაბიტაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორად, იყო გორის რაიონულ პროკურატურაში პროკურორი, მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტის უფროსად.

გამოცდილება აქვს ექსპერტ კახა კახიშვილსაც. კვალიფიციური იურისტი წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში მოღვაწეობდა. სწორედ კახიშვილმა წამოწია პრემიერისა და ექსპერტების შეხვედრისას მთავარი პროკურატურის, როგორც სუსტი რგოლის თემა, როცა ისაუბრა, რომ უწყება ნაციონალებისდროინდელი კადრებითაა დაკომპლექტებული. კახიშვილი, წინა ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხზეც აქტიურად საუბრობს და ამბობენ, რომ ის ივანიშვილის გუნდისთვის, საკმაოდ მისაღები კადრია. თუმცა, იქნება თუ არა ეს საკმარისი, მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის დასაყენებლად, დრო გვიჩვენებს. კანონით, მომავალი პრემიერი განსაზღვრავს, ვინ დაიკავებს აღნიშნულ პოსტს. ასე რომ, ახლა მთავარი სიტყვა ირაკლი ღარიბაშვილს ეთქმის.

მანქანაში შუქგამტარობის შემზღუდავი ყველა საშუალების გამოყენება იკრძალება

მძღოლებს, სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქებასთან ერთად, მანქანებში შუქგამტარობის სხვა ფორმით შეზღუდვაც აეკრძალებათ. ამას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს უკვე წარუდგინა.

მოქმედი კანონის გათვალისწინებით, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშეა დამუქებული, მძღოლის 50 ლარის ოდენობით დაჯარიმებას იწვევს.

პროექტის თანახმად კი, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამის მუხლს ემატება ჩანაწერი — „ან რომლის მინების შუქგამტარობა სხვაგვარად არის შეზღუდული“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ცვლილებების მომზადება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მინების შუქგამტარობის სხვადასხვა ფორმით, მაგალითად „ფარდებით“ შეზღუდვა, საგზაო მოძრაობისას გარკვეულ სირთულეებს ქმნის და ავტოსაგზაო შემთხვევების მომატებულ საფრთხეს შეიცავს. ამასთან, შსს-ს მიერ პარლამენტში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების კიდევ ერთი პროექტია წარდგენილი, რომელიც სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებების მართვისას ჩადენილ დარღვევებს — მათ შორის მინების დამუქებასაც ეხება. ამ ცვლილებებით, მინების დამუქების გამო ერთხელ დაჯარიმებული მძღოლი, წლის განმავლობაში ქმედების განმეორების გამო, 100 ლარით დაჯარიმდება, ხოლო მესამე და ყოველ მომდევნო შემთხვევაში ექვსი თვით მართვის უფლება შეუჩერდება.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ზურაბ ქ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ თამარიანში, ზურაბ ქ-ს საცხოვრებელი სახლიდან „მაკაროვის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი, 1 მჭიდი და 3 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ასევე ამოღებულია 164 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

„130 ადამიანს პოლიტპატიმრის სტატუსი დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს!“

რატომ გახდა პოლიტპატიმართა სტატუსის მინიჭების საკითხი კვლავ აქტუალური და რას ითხოვენ ყოფილი მსჯავრდებულები ახალი მთავრობისგან?

ირუსუდან შელია
557-100-768

გაზეთ „ვერსიის“ 2013 წლის 22 თებერვლის ნომერში, პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიის ის მუშა ვარიანტი გამოქვეყნდა, რომელზეც მაშინ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი, ამნისტიის პირველივე ტალღის შემდეგ მუშაობდა. მასალაში საუბარი იყო 109 ადამიანზე, რომლებმაც კომიტეტში განაცხადის შეტანა ჯერ კიდევ 2012 წელს მოასწრეს. „ვერსიის“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ სიაში საზოგადოებისთვის ცნობად პირებსაც ამოიკითხავდით. მათ შორის — ლევან მამალაძეს, მამუკა ნიკოლაიშვილს, გოჩა ძასოხოვს, ივანე ჩხარტიშვილს, ემზარ კვიციანს... იმავე სტატიაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე საუბრობდა, რომ პარლამენტის ანუ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, სასამართლოს გარეშე, ციხის კარის გაღება და 200 პატიმრის გამოშვება საერთაშორისო საზოგადოებისა და ძველი ხელისუფლების მიერ მძიმედ შეფასდა. ამ ფონზე, ახალი სიის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში მაშინ გადაიფიქრეს: **„პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ გაკეთდება — ეს ერთხელ უკვე იყო და მეორედ იმავე მდინარეში აღარ შევალთ! პარლამენტმა ერთხელ უკვე გაათავისუფლა ის ხალხი, ვინც პოლიტიკურ პატიმრად ჩათვალა. ვისზეც კითხვის ნიშანი დარჩა, პერსონალურად განვიხილავთ, მაგრამ ციხიდან მათი გამოშვება პარლამენტის დადგენილებით აღარ მოხდება... ეს ტრადიციად არ უნდა იქცეს. ჩვენ გავამზადებთ რეკომენდაციებს სასამართლოსა და პროკურატურისთვის, მაგრამ არ შეიძლება, პარლამენტის აქტები ციხიდან გამოშვების მექანიზმად დაკანონდეს. ჯერ კომიტეტში ამ განცხადებების განხილვის სამართლებრივი ფორმა არაა ჩამოყალიბებული და გაწერილი. გადაწყვეტილების ზუსტი ფორმაც არ ვიცით, მაგრამ ვიცი ის, რომ პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ იქნება! სავარაუდოდ, შეჯერებულ გადაწყვეტილებას კომიტეტიც დაეთანხმება და პიროვნებებს ვცნობთ რაღაცად, მაგრამ რად, არ ვიცი. ალბათ, უფრო უკანონო პატიმრებად, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებად!“,** — განმარტავდა „ვერსიასთან“ გედევან ფოფხაძე.

გაზეთში ამ მასალის გამოქვეყნებიდან რვა თვე გავიდა. თემა კი, რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში კვლავ გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც „ვერსიის“ სტატია, გაურკვეველი პირების მეშვეობით, Facebook-ზე აიტვირთა. შესაბამისად, „პოლიტპატიმართა“ თუ „უკანონოდ დაპატიმრებულთა“ 109-კაციანი სია სოციალურ ქსელში განსჯის საგნად იქცა. ამ ფონზე, „ვერსია“ კიდევ ერთხელ დაინტერესდა, როგორ გადაწყდა იმ ადამიანების ბედი, რომლებიც თავს წინა ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევდნენ და პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას „ქართული ოცნებისგან“ ითხოვდნენ.

უფლებადამცველი **ზაზა დავითაია** სასჯელს იგორ გიორგაძესთან თანამშრომლობისთვის იხდიდა. მისთვის პარლამენტის გადაწყვეტილება — პოლიტპატიმრებისთვის სტატუსის მინიჭების პროცესის შეჩერება, შემაშფოთებელია: **„პარლამენტის გადაწყვეტილებას ელოდებიან ქვეყნიდან პოლიტიკური ნიშნით დევნილი, წინა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით გასამართლებული და ამნისტიამდე გათავისუფლებული პირებიც. პირადად მე, უკანონოდ გამოტანილი სასჯელის ვადა ბოლომდე მოვიხადე. სამწუხაროდ, პარლამენტის გადაწყვეტილებით, პოლიტპატიმრის სტატუსი მხოლოდ ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს მიენიჭათ. ის ადამიანები კი, ვინც რეჟიმის მსხვერპლი იყო (მათ შორის მეც) სტატუსის მიღმა დარჩნენ. როგორც ვიცი, კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მომხრეა, პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების მეორე ტალღა დაიწყოს, თუმცა წინააღმდეგობა შიგნით, საპარლამენტო ძალებს შორის წარმოიშვა. ამ ინიციატივას განსაკუთრებით რესპუბლიკელები და ნაციონალები ეწინააღმდეგებიან. არადა, 130 ადამიანს, პოლიტპატიმრის სტატუსი დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს“.**

ზაზა დავითაია „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სტატუსისთვის ბრძოლას მისი თანამოაზრეები მომავალშიც გააგრძელებენ, პირველ ეტაპზე კი გეგმავენ, ახალ მთავრობას შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება და კომპენსაცია მოსთხოვონ: **„ახალ მთავრობას მივმართავთ, რომ სასამართლოში ჩვენი საქმეების ხელახალი განხილვის პროცესი პრივილეგირებულად დაიწყოს და წინა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული ადამიანების მიმართ შესაბამისად იმოქმედოს. ხარვეზების დამდგენმა კომისიამ კი მარიონეტული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები შეისწავლოს“.**

პარლამენტის კეთილ ნებას ელოდება კიდევ ერთი უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძეც**: **„უამრავმა პატიმარმა, პოლიტიკური შეხედულებების გამო, 9-წლის განმავლობაში ხელისუფლებისგან სერიოზული წნეხი განიცადა. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც ციხეში რეჟიმთან ბრძოლის გამო მოხვდნენ და მათ ფულადი კომპენსაცია კი არა, ახალი ხელისუფლებისგან მხოლოდ იმის აღიარება სურთ, რომ წლების განმავლობაში რეჟიმს ეწირებოდნენ, ამ ბრძოლაში თავი გადადეს. დიდი ხანია ვიცი, რომ პარლამენტი პოლიტპატიმართა სტატუსის განხილვას არ გეგმავს. ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე ამბობენ, რომ ამ ეტაპზე, ხარვეზების კომისიას იმ მსჯავრდებულების საქმეები გადაეგზავნება, რომლებიც დღემდე საპყრობილეებში არიან. ბუნებრივია, ამ ნაბიჯს მივესალმებით, მაგრამ ვიმეორებ — რომ ამ ადამიანებს პოლიტპატიმრად აღიარება სურთ. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი ამ საკითხზე არ მსჯელობს, იმედი მაქვს, სახელმწიფო რეჟიმის მსხვერპლთა ბედს დადებითად გადაწყვეტს“.**

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გედევან ფოფხაძე** აღნიშნავს, რომ ამნისტიის მეორე ტალღა სახელმწიფოებრივადაც გაუმართლებელი იქნება: **„ჩვენი კომიტეტი ამ მიმართულებით მუშაობას არ გეგმავს — მხოლოდ წარმოდგენილ საქმეებს დავახარისხებთ და შემდეგ ხარვეზების კომისიაში გადავგზავნით. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის დაწყება ნებისმიერ თემაზე შესაძლებელია, თუმცა პირადად მე მივიჩნევ, რომ პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება პარლამენტის პრეროგატივა არ არის. თავის დროზე, მსგავსი გადაწყვეტილება მხოლოდ პატიმრების გასათავისუფლებლად მივიღეთ. ასე რომ, არა მგონია, უკვე თავისუფლებაში მყოფ პირებს პოლიტპატიმრის სტატუსმა რამე შემატოს“.**

გედევან ფოფხაძის განცხადებით, პარლამენტში ხარვეზების დამდგენი კომისიის მუშაობის ფორმატი ჩამოყალიბების პროცესშია. დღეისთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ აღნიშნული საპარლამენტო კომისია პოლიტიკური განაჩენის მსხვერპლთა საქმეებს განსახილველად სასამართლოში გადაგზავნის. გედევან ფოფხაძე ასევე განმარტავს, რომ თუ ამ სქემით ხარვეზების დადგენის კომისიის მუშაობამ არ გაამართლა, შესაძლოა, პარლამენტმა სხვა ფორმატით განაგრძოს ამ მიმართულებით მუშაობა.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26



რაზომ გათქვა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო საიდუმლო და სჭირდება თუ არა თბილისს თავდაცვითი ზღუდე

„არაოფიციალური მონაცემით, ამ პროექტში 600 მლნ ლარი დაიხარჯა, რომლის დიდი ნაწილი „ატკატებად“ წავიდა“

მოქმედი პრეზიდენტის ინფორმაციით, თბილისის შემოგარენში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა შეჩერებულია. **მიხეილ სააკაშვილმა** შეჩერებული მშენებლობა დაათვალიერა და განაცხადა: **„ადრე ეს იყო სახელმწიფო საიდუმლოება, მაგრამ საქართველოს მტერმა უკვე იცის — 2008 წლის შემდეგ, 2009 წელს დავიწყეთ თავდაცვითი ნაგებობების შენება — ყველგან, თბილისის გარშემო, სიმაღლეზე, გავაკეთეთ ბეტონის ბუნკერები. დედაქალაქი დღეს კარგადაა დაცული და ჩრდილოეთიდან შეტევა გართულებულია, განსხვავებით 2008 წლისგან. შემდეგ განვიხილეთ შესაძლებლობა, რომ რუსებს გამოეყენებინათ სომხეთში არსებული ბაზები და ფორტიფიკაციების გაკეთება წითელი ხიდის მიმართულებით დავიწყეთ. ეს არის ანტისატანკო თხრილი. 25 კილომეტრი აშენებულია, დარჩენილია რამდენიმე კილომეტრი. ასევე, რამდენიმე საფორტიფიკაციო ნაგებობა გაკეთდა თბილისის გარშემო“.**

სააკაშვილისვე თქმით, იგი ესაუბრა გენშტაბის ოფიცრებს, რომლებმაც განუცხადეს — მთავრობაში აგვიხსნეს, რომ ამ ნაგებობის მშენებლობით საქართველო აღიზიანებს რუსებს და პროვოკაციას აწყობსო: **„ყოველი ასეთი ფორტიფიკაცია ანელებს და ურთულებს საქართველოს მტერს ყოველგვარ შემდგომ შეტევით ოპერაციებს. მშენებლობა შეჩერებულია. ეს არის საქართველოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მავნებლური ქმედება და ქართველმა ხალხმა ამის შესახებ უნდა იცოდეს“.**

თავდაცვის სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს და მოუწოდებს უშიშროების საბჭოს აპარატს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მეტი სიფრთხილით მოეკიდონ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას: **„ქვეყნის თავდაცვითი ნაგებობების ლოკაციისა და ტიპის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელება სარისკოა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. სააკაშვილის განცხადება საქართველოს თავდაცვისუნარიანობას აზიანებს. თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებულ ძალებს შესწევს უნარი უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა“.**

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, **ირაკლი სესიაშვილის** ინფორმაციით, **„პრეზიდენტი, რომელმაც თითქოს თბილისის გარშემო თავდაცვითი ზღუდის შეჩერებული მშენებლობა დაათვალიერა, სინამდვილეში, მარნეულში იყო. სააკაშვილი ცრუობს, თითქოს გენშტაბის წარმომადგენლებს ელაპარაკა. გენშტაბში ამას არ ადასტურებენ. თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელმაც შეისწავლა ყველა ობიექტი, რაც ე.წ. თავდაცვის ზღუდეებსა და სისტემებს ქმნიდა. ნაწილი მწყობრშია, ნაწილი კი დაკონსერვდა, რათა მიზანშეწონილობის შემთხვევაში, გაგრძელდეს სამუშაო“.**

სესიაშვილისვე განმარტებით, „საინტერესოა“ პრეზიდენტის განცხადება, რომ რუსებმა საქართველოს საიდუმლო ობიექტების შესახებ იციან: **„საიდან იცის პრეზიდენტმა, რომ რუსებს საიდუმლო ობიექტის შესახებ ინფორმაცია აქვთ?.. ჩვენი ქვეყანა არ შემოიფარგლება მხოლოდ თბილისით. დედაქალაქი ფრონტის ბოლო ხაზია. ძირითადი სამუშაოები იქ უნდა ჩაატარო, საიდანაც რეალური საფრთხე მოდის. თუ მტერი დედაქალაქს მოადგა, ამ სახით თავდაცვის წარმოება უკვე მიზანშეუწონელია“.** პარლამენტი წინა ხელისუფლების მიერ თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და თხრილების მშენებლობაზე დახარჯული თანხების მიზნობრიობას შეისწავლის. საკანონმდებლო ორგანო, ამ საკითხზე „ნდობის ჯგუფის“ ფარგლებში იმუშავებს: **„მნიშვნელოვანია, რა დაუჯდა სახელმწიფოს თხრილების გაკეთება. პირველივე შესაძლებლობის ფარგლებში გამოვითხოვ დოკუმენტებს და გავაანალიზებთ, რამდენად რაციონალურად გაიხარჯა თანხები“.**

რამდენად ეფექტურია თბილისის მისადგომებთან მოწყობილი თავდაცვის ზღუდე? სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის, **ირაკლი ალადაშვილის** შეფასება ასეთია: **„ისტორიას ახსოვს მაჟინოს ხაზი საფრანგეთში და მანერჰეიმის თავდაცვის ზოლი ფინეთში. მალე მათ შეემატება სააკაშვილის სახელობის თავდაცვის ზღუდეც. პრეზიდენტობის ბოლოს, თხრილში მდგომმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცვიფრა საზოგადოება, როდესაც პირველად გაახმაურა აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს ყველაზე დიდი საიდუმლო. ამ გადაწყვეტილების შესახებ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცოდა — მცხეთასთან, ტრასიდან ისევე, როგორც წითელი ხიდისკენ მიმავალი გზიდან, კარგად ჩანდა სამუშაოები. მშენებლობების პროცესი ჩანდა Google-ის რუკებზეც და რუსული კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრების მიერ გადაღებულ ფოტოებზეც. მცხეთასთან მშენებარე ბეტონირებულ ბუნკერებს, დროდადრო, ის პატარა უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატები გადაუფრენდნენ, რომლებსაც რუსეთის სამხედრო დაზვერვის სპეციალისტები ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან უშვებდნენ. მაშინ ამ თემაზე რომ გვესაუბრა, რუსეთის აგენტობას დაგვაბრალებდნენ. იმ ტანკსაწინააღმდეგო თხრილს, რომელშიც სააკაშვილი იდგა, სამწუხაროდ, არ შეუძლია მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო კოლონის არათუ შეჩერება, არამედ რამდენიმე საათით შეყოვნებაც კი. მიზეზი მარტივია — თუ 100 მ ტანკსაწინააღმდეგო თხრილის გასათხრელად ექსკავატორს 20-25 საათი სჭირდება, მის გადასალახად საკმარისია 3 წუთი! სწორედ 2,5-5 წუთი სჭირდება რუსეთის არმიის შეიარაღებაში არსებული ტ-72 ტიპის ტანკის ბაზაზე შექმნილ ხიდგამდებ მტუ-72-ს, რომ მაქსიმალურ 18 მ სიგანის თხრილზე ხიდი გადოს (არადა, თხრილის სიგანე სამი მეტრიც არ იყო), რომელზეც 50 ტონამდე მასის ნებისმიერი ტანკი და სხვა საბრძოლო ტექნიკა გადავა. ამ ხიდებს საიერიშოსაც უწოდებენ — ეკიპაჟს მისი გადება ჯავშნიანი მანქანიდან გადმოუსვლელად შეუძლია. რუსეთის არმიის სატანკო ლეგიონში შტატით სამი მტუ-72 ირიცხება. ლეგიონის აღჭურვილობაშია მექანიზებული ხიდის ტმმ-ის ოთხი ნაწილი, ანუ, სულ 7 სწრაფად გასაშლელი ხიდი. თუ ხიდის გადება ტანკსაწინააღმდეგო თხრილზე შეუძლებელია, საქმეში ის ტანკები ერთვება, რომლებსაც წინ ჩამოსაკიდი სატანკო ბულდოზერები აქვთ. თითო ლეგიონს 9 ასეთი ბულდოზერიანი ტანკი ჰყავს. მათ თხრილის პატარა მონაკვეთის მიწით შევსება და მასზე გადასასვლელის გაკეთება ერთ საათში შეუძლიათ. ასე რომ,**

> **ტანკსაწინააღმდეგო თხრილები დღევანდელი ჯავშან და საინჟინრო ტექნიკისთვის გადაულახავი პრობლემა აღარაა. მისი მისადგომების ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებით დანაღმვის შემთხვევაში, შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის წინსვლა შეფერხდება, თუმცა სწრაფი განაღმვითი ოპერაციის შემდეგ (მაგალითად, დისტანციური განაღმვის სისტემის ურ-77-ის გამოყენების შემთხვევაში) ისევ სწრაფი ტემპით გაგრძელდება. რაც შეეხება ბეტონირებულ საცეცხლე წერტილებს, რომელთა აშენებაც ძალიან ძვირი დაჯდა, ისინი აღჭურვილია ამბრაზურებით, საიდანაც სროლა ტანკებსა და ქვემეხებსაც შეუძლია. რამდენიმემეტრიანი ბეტონის კედლები მხოლოდ ერთი შეხედვითაა საუკეთესო დაცვა. ასეთი ბუნკერების მთავარი სისუსტე — სტაციონარული განთავსება და მათი უზუსტესი კოორდინატები — დიდი ხანია ცნობილია რუსეთის გენშტაბისთვის.**

თანამედროვე ბუნკერსაწინააღმდეგო „ჰაერი-მიწა“ კლასის მართვადი რაკეტები და მართვადი ჭურვები მიზანში მოხვედრის დიდი სიზუსტითა და განსაკუთრებული დამანგრეველი ძალით გამოირჩევა, რადგან მათი ქობინები შეღწევადი ტიპისაა და ფეთქდება მიწაში რამდენიმე მეტრზე ჩასვლის შემდეგ. მაგალითად, რუსულ საფრონტო ბომბდამშენ სუ-24მ-ს მაქსიმალური 120 კმ სიშორიდან (ისე, რომ მას ვერც ერთი ქართული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ვერ მიწვდება) შეუძლია გამოუშვას 930 კგ მასის „ჰაერი-მიწა“ კლასის მართვადი რაკეტა ხ-59მ ოვოდ-მ-ი, რომელიც სახმელეთო მიზანს 2-3 მ-ის სიზუსტით ხვდება, ხოლო 320 კგ მასის შეღწევადი მოქმედების საბრძოლო ქობინს რამდენიმემეტრიანი სისქის ბეტონის გარღვევაც შეუძლია.

> **სააკაშვილის თავდაცვის ზღუდეები პანაცეა ნამდვილად არ არის და დღეს, როდესაც რუსეთს შეუძლია შვეულმფრენებიდან ყველა სტრატეგიული ობიექტის სიახლოვეს (თბილისის ცენტრის ჩათვლით) მოულოდნელად გადმოსხას დესანტი, ტანკსაწინააღმდეგო თხრილების გაჭრა და მთის კალთებზე ბეტონის კედლების ჩასხმა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია; ამასთან, არსებობს ეჭვი, რომ სააკაშვილის თავდაცვის ზოლის მოწყობაში უზარმაზარი თანხა (ზოგიერთი არაოფიციალური მონაცემით 600 მლნ ლარიც კი) დაიხარჯა, რომლის დიდი ნაწილი „ატკატებად“ წავიდა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების ჯიბეში. არადა, თხრილების გათხრაზე მომუშავე ექსკავატორის მძღოლებს თურმე ხელფასს უგვიანებდნენ ან საერთოდ არ აძლევდნენ“...**

ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** კი დარწმუნებულია, რომ თავდაცვითი ზღუდის შესახებ განცხადება სპეციალურად გაკეთდა, რადგან რუსეთს ბევრი აგენტი ჰყავს და ისინი უსაქმოდ არ არიან. მისი თქმით, ქვეყანას თავდაცვის გაძლიერება სჭირდება, მაგრამ მეორე საკითხია, ეს ღონისძიებები როგორ ხორციელდება:

„როგორც ვიცი, მშენებლობა დასრულებული არ არის. სახელმწიფოს, რომელსაც დედაქალაქიდან 40 კილომეტრში საოკუპაციო ჯარი უდგას, მგონი, სჭირდება თავდაცვის ზღუდე. რამდენადაა დასრულებული და უსაფრთხო, ამის თქმა მიჭირს. ალბათ, ეს დეტალები საიდუმლოა და ასეც უნდა იყოს“.

2008 წლის აგვისტოს ოკუპაციის შედეგები მოდუნების უფლებას არ იძლევა. მტერი ახლოსაა და საფრთხეს წარმოადგენს. ამ დროს, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ საკითხებზე ნიშნისმოგებით საუბარი და შიდადაპირისპირება, გასაგებია, ვის წისქვილზეც ასხამს წყალს. ყველაფრის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების სამარცხვინო პრაქტიკა უნდა დასრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არათუ „სახელმწიფო საიდუმლოება“, თვითონ სახელმწიფოც აღარ გვექნება.

ვერსიანიუსი

„საქართველო ესკალაციის საფუძველს არავის მისცემს, თუმცა თავდაცვისთვის მზადაა“

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საფრანგეთის ტელევიზია France 24-ში სტუმრობისას 2008 წლის ომზე, ქვეყნის ევროპულ არჩევანსა და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების გზაზე ისაუბრა. მისი თქმით, ევროატლანტიკური გზა ქართველი ხალხის არჩევანია, თუმცა ახალი მთავრობა ცდილობს რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის დამყარებას: **„გავაერთიანეთ ყველა დემოკრატიული მიღწევა წინა ადმინისტრაციიდან და ახლა ახალ ქართულ ისტორიას ვქმნით. რამდენიმე კვირის წინ გვქონდა დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნები. საქართველო თავს ევროპის გვერდით ხედავს, ამავდროულად, ახალმა მთავრობამ ბიძინა ივანიშვილმა და ჩვენ, ყველამ, გადავწყვიტეთ, გვქონდეს რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა. გვესმის, რომ რუსეთი იოლად არ შეიცვლის პოლიტიკას ტერიტორიულ მთლიანობასა და ნატო-სთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ჩვენს ინტერესშია, ჩამოვაყალიბოთ კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები, რაც პოლარიზაციას შეამცირებს. ამის შემდეგ გვექნება მეტი საშუალება აფხაზებსა და ოსებთან სამუშაოდ, რათა გავაგებინოთ, რომ მომავალი ჩვენთან ერთად ევროპაში უკეთესი იქნება, ვიდრე ოკუპაციის ქვეშ. საქართველო არავის მისცემს კიდევ ერთი ესკალაციის საფუძველს, თუმცა მზად ვართ, საკუთარი თავის დასაცავად“.**

„პირველი“

იანვარ-თებერვალში გაზის სეზონური ტარიფი უნდა ამოქმედდეს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნება — ბიზნესი წნეხისგან გაათავისუფლოს — საკმარისი არ არის. ეკონომიკის განვითარებას, საინვესტიციო ბუმს, უმუშევრობის დაძლევასა და თუნდაც, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ენერგეტიკის მდგრადობა სჭირდება. იცით თუ არა, რომ თუ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის დაპირებული 100 საწარმო აშენდება, საქართველოს მოსახლეობა უშუქოდ დარჩება? იცოდით, რომ ქვეყანას საკმარისი ენერგომარაგი არ აქვს? საქართველოში მოქმედ მსხვილ საწარმოებს კიდევ ერთი, სერიოზული — უხარისხო დენისა და გაზის პრობლემა აქვთ. ვინ უნდა აგოს პასუხი, თუ უცებ მოვარდნილი დენის ან უხარისხო გაზის გამო, ტექნიკა მწყობრიდან გამოვა და რატომ აჩვენებს იანვარ-თებერვალში გაზის მრიცხველები ორჯერ მეტ დანახარჯს? „ვერსიას“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია ესაუბრება.



— ელექტროენერგია და საინვესტიციო გარემო საქართველოში მჭიდრო კავშირშია. მითი, რომ ჭარბი ელექტროენერგია გვაქვს, არ დადასტურდა, რადგან გენერაციის დისბალანსი 30%-მდეა, რასაც რუსეთიდან ვავსებთ. დისბალანსის პარალელურად, უცხოელ ინვესტორებს ვეხვეწებით საქართველოში აწარმოონ ბიზნესი. რეალურად, გვაქვს ფული, საინვესტიციო ფონდიც დავაარსეთ, მაგრამ ინვესტორებს მაინც ვერ ვაძლევთ გარანტიას, რომ თანამედროვე, ტექნოლოგიატევად ენერგიას მივაწვდით. 100 საწარმოც რომ გავხსნათ, სერიოზული ენერგომოხმარების გარანტია უნდა გვქონდეს; მეორე დიდი პრობლემა ისაა, რომ საქართველოს საინვესტიციო აქტიურობა, უშუალოდ, დაკავშირებულია ენერგეტიკული მდგრადობის პრობლემასთან — რასაც ახლა ვანარმოებთ, 30%-ით მეტი ელექტროენერგია სჭირდება. 100 საწარმოსაც თუ დავამატებთ, ელექტროენერგიის ისეთი დეფიციტი გაჩნდება, შესაძლოა, მოსახლეობა შუქის გარეშე დარჩეს. ვიდრე ენერგეტიკის საკითხი არ გადაწყდება, ინვესტორს გარანტიას ვერ მივცემთ და არც საინვესტიციო გარემო იქნება მომგებიანი.

— ბატონო ემზარ, დიდი ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლოატაციისთვის, მეწარმეებსა და ბიზნესკომპანიების მფლობელებს სპეციალური მოსაკრებელი რატომ დაუწესეს?

— მოქმედ კვალიფიციურ მომხმარებლებს ანუ მსხვილ საწარმოებს ვითარება დაუმძიმდათ. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აშენებას, რომლითაც ელექტროენერგია სვანეთიდან, ახალციხის გავლით, თურქეთს მიეწოდება, საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდა. ზესტაფონის „ფეროს“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ ამ გადამცემი ხაზის ღირებულება კვალიფიციური მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფის კალკულაციაში დაამატეს. ენერგეტიკოსების მოსაზრებით, ასეც უნდა იყოს, მაგრამ საწარმოების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ეს მათი პრობლემა არაა. ეს გადასახადი მოსახლეობას არ ეხება. ზოგადად, მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ასე არ არის. კანონში წერია, რომ ენერგოტარიფები გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი უნდა იყოს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ტექნიკური მონოპოლიებიც ისე უნდა მოვაწყოთ, კონკურენციის ელემენტები შევიტანოთ, მაგრამ არც ამ პირობას ვასრულებთ. მთელი ყურადღება გადატანილი გვაქვს, როგორ შევცვალოთ მარეგულირებელი კომისიის უფროსი. საკადრო ცვლილებებზე ვაკეთებთ აქცენტს, არადა, ამ სისტემის ძირეული გარდაქმნაა საჭირო... საქართველოში მოქმედ საწარმოებს კიდევ ერთი პრობლემა აქვთ — მიწოდებული ელექტროენერგიისა და გაზის ხარისხი. ელექტროენერგიის ძაბვის ხშირი ვარდნა ან უხარიხო გაზი ტექნოლოგიურ პროცესს მთლიანად ანადგურებს. ეს პრობლემა აქვს რუსთავსა და ზესტაფონში მოქმედ მსხვილ კომპანიებს. მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება კი, მომხმარებლის უფლებებს არ ითვალისწინებს. ენერგეტიკის სპეციალისტები, გენერაციისა თუ მიმწოდებელი კომპანიების წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ არსებული ტარიფების პირობებში, უკეთესი დენისა და გაზის მიწოდება შეუძლებელია, რადგან ხარისხიანი დენი და გაზი გაცილებით ძვირი ჯდება. სტაბილური დენი ბიზნესისთვის დიდი პრობლემაა. თუ ეს არ გადაწყდა, საინვესტიციო მიმზიდველობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

— ენერგომიმწოდებელ კომპანიასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებაში უნდა იყოს ჩადებული პუნქტი, თუ „თელასი“ ან „ყაზტრანსგაზთბილისი“ უხარისხო დენსა და გაზს გვაწვდის, რის გამოც ტექნიკა მწყობრიდან გამოვა, მატერიალური ზარალი კომპანიამ უნდა აანაზღაუროს. ვინ უნდა გადაჭრას ეს პრობლემა და როგორ ვაიძულოთ კომპანიები, ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტები ჩადონ?

— ენერგეტიკის სფეროში ანტიმონოპოლიური ორგანო და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიაა. სწორედ მას ევალება მომხმარებლების უფლებების დაცვა, მაგრამ ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს კომისია არაფერს წარმოადგენს და მხოლოდ მსხვილი ენერგეტიკული კომპანიების სურვილების აღმასრულებელი ნოტარული ორგანოა. ტარიფის კალკულაცია ცალკე თემაა, რომელზეც სერიოზული სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ. მთავარია, რისგან ვადგენთ ტარიფს. ყველა მდგენელი გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტებიდან მოგვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვაკონტროლოთ, როგორ ხარჯავს ფულს „თელასი“, რამდენად გამჭვირვალეა მისი ტენდერები, რამდენად ოპტიმალურია მისი ხარჯები. ამ საკითხებში საერთოდ არ ერევა მარეგულირებელი კომისია, რომელიც მომხმარებლების უფლებებსაც უნდა აკონტროლებდეს. როდესაც მომხმარებლების უფლებებსა და ხარისხიან დენსა თუ გაზზე ვსაუბრობთ, მომწოდებელი კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ენერგოტარიფები გაიზრდება. ესეც არაა პრობლემა — უმჯობესი არაა, ცოტა მაღალი ტარიფი ჰქონდეს კვალიფიციურ მომხმარებელს, მაგრამ გარკვეული უფლებებიც გააჩნდეს? ეს არის მარეგულირებელი კომისიის ფუნქცია და რადგან ამ ფუნქციას არ ასრულებს, მისი დანაშაულია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი მარეგულირებელი კომისიის სრული იმპიჩმენტის საფუძველია, რადგან დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ან არ ართმევს. სამწუხაროდ, არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ამ კომისიამ ნორმალურად იმუშაოს... გარდა ამისა, წარმოუდგენელია ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი, როცა ენერგეტიკული ბაზარი დაურეგულირებელია. თქვენი მსჯელობა მშპ-ს ზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვასა თუ უმუშევრობის შემცირებაზე, ყინულზე დაწერილი სიყვარულის ფიცი იქნება — თუ ენერგია არ გაქვს, ბიზნესი ვერ იარსებებს. ნებისმიერი პროდუქციის კალკულაციასა თუ საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობაში, ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ენერგომატარებლების ფასია. მსოფლიო ბანკისა და სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის რჩევით, ინოვაციური ეკონომიკაა მთავარი. რა ინოვაციურ ტექნოლოგიებზეა საუბარი, როცა ქვეყანაში ნორმალური, ხარისხიანი დენის მიწოდების პრობლემაა?!

რაც შეეხება უხარისხო გაზს. ხშირად გაიგებთ, რომ ზამთრის პიკურ თვეებში, ბუნებრივ აირს ჰაერი მოჰყვება. გამორიცხულია. გაზის მილში ჰაერს ვერ ჩააყოლებთ, აფეთქდება, მაგრამ ფაქტია, იანვარ-თებერვალში, გაზის მრიცხველები ორმაგს წერს. ბუნებრივი აირი მეთანის, პროპანისა და ბუტანისგან შედგება. მეთანი სასარგებლოა ქიმიური წარმოებისთვის — როდესაც გაზში მეთანი უფრო მეტია, ვიდრე პროპანი, აზოტის კარგ სასუქს ვიღებთ, თუმცა ასეთი გაზი ცუდად მოქმედებს საყოფაცხოვრებო პირობებში, ბინები ცუდად თბება და მრიცხველიც ორმაგს წერს. სახლი კარგად რომ გათბეს, გაზში მეტი პროპანი უნდა იყოს და ამ შემთხვევაში მრიცხველიც ნორმალურად იმუშავებს. შაჰდენიზის გაზი მაღალი კალორიულობით გამოირჩევა, რუსულ გაზზე უკეთესიცაა, მაგრამ როდესაც ზამთრის პიკურ პერიოდში აზერბაიჯანს რესურსი არ ჰყოფნის, ყველა საბადოდან ერთდროულად ამოღებულ გაზს მილში უშვებს და მაქსიმალურ სიმძლავრეზე რთავს. ამ დროს ჩვენ ვიღებთ უხარისხო გაზს, რომელშიც პროპანის რაოდენობა ნაკლებია. შესაბამისად, გაცილებით მეტ რაოდენობას მოვიხმართ და მრიცხველიც ბევრს წერს. აქ არის ძაღლის თავი დამარხული და მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ესაა მიზეზი, რის გამოც იანვარ-თებერვალში გაცილებით მეტის გადახდა გვიწევს!

გამოსავალი ისაა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საკმაოდ ძვირადღირებული მოწყობილობა დაიდგას, რომელიც ამ ორ ქიმიურ პროდუქტს — მეთანსა და პროპანს განასხვავებს და შედეგად, მოსახლეობა მიიღებს გაზს, რომელშიც პროპანის შემადგენლობა მაღალი იქნება. უნდა მოვთხოვოთ მომწოდებელს, მაქსიმალურად დაიცვას მომხმარებლების ინტერესები. ან იანვარ-თებერვლის გაზის ტარიფებს უნდა გადავხედოთ, რადგან ფაქტია — ამის გამო, ბუნებრივი აირის გადასახადი იზრდება!

— თუ გაზის ხარისხის კონტროლს ვერ შევძლებთ, სეზონური ტარიფი უნდა დაწესდეს?

— აუცილებლად, თორემ წელსაც, პიკურ პერიოდში, ბუნებრივ აირში იმაზე მეტის გადახდა მოგვიწევს, ვიდრე მოვიხმართ!

— არსებობს სტატისტიკა, რა რაოდენობის ზარალი მიადგა მსხვილ საწარმოებს უხარისხო დენისა და გაზის მიწოდების გამო?

— ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის საქმიანი დიალოგი ჯერ არ შემდგარა. ზარალი ძალიან დიდია, მაგრამ არავინ იცის, ზუსტად რამდენია. მესმის, ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდა, ხელისუფლების წარმომადგენლები მეწარმეებს მიმართავენ, იმუშავეთ, ხელს არ გიშლითო, მაგრამ ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრის გარეშე, ბიზნესმენი ვერ იმუშავებს. სახელმწიფოს გარდა, ამ პრობლემას ვერავინ გადაწყვეტს.

— სახელმწიფოში ენერგეტიკის სამინისტროს გულისხმობთ, მარეგულირებელ კომისიას თუ ორივეს ერთად?

— სამინისტრომ უნდა შექმნას სტანდარტი, ქვეყანას თავისი „ბენჩ-მარკები“ უნდა ჰქონდეს. ეკონომისტების ენაზე, „ბენჩ-მარკები“ ჩვეულებრივი ციფრებია. საშუალოდ, მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე 1.5 ტონა პირობით საწვავს წვავს. ევროპის ქვეყნებში, ერთ სულ მოსახლეზე 3 ტონა პირობით საწვავს წვავენ, საქართველოში კი ეს ციფრი 0.6-ია. აქედან გამომდინარე, პირველი „ბენჩ-მარკა“ უნდა იყოს, რომ ერთ სულ მოსახლეზე, 3 ტონა პირობითი საწვავის დონემდე მივიდეთ. ამის შემდეგ, ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა განმარტოს, როგორ მიაღწევს ამ დონეს — ხუდონჰესს ააშენებს თუ ატომურ ელექტროსადგურს. საქართველოში ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ მოხმარების „ბენჩ-მარკის“ მიღწევის გარეშე, ინვესტიციების ზრდასა თუ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე საუბარი ზღაპარია! ეს რთული თემაა, რომელზეც სახელმწიფომ და ინვესტორმა უნდა იმსჯელონ, მარეგულირებელმა კომისიამ კი — გააკონტროლოს.

განმარტება

გაზეთ „ვერსიის“ 2013 წლის 1 აპრილის ნომერში და გაზეთის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ავღანური ნარკოტიკის სამი სკანდალური ვერსია და რუსული სპეცსამსახურების საიდუმლო სცენარი, რომლითაც საქართველოს დსთ-ში შეყვანა იგეგმება“. აღნიშნული სტატიის ციტატაში – „მესამე ვერსიით, ბელორუსში აღმოჩენილი ავღანური ჰეროინის სკანდალი მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორს და ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელს უკავშირდება. რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ამ ავტომობილში ჰეროინი ახალგორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა, რომელსაც სამართალდამცავები ვერ აკონტროლებენ. რუსული სააგენტოების მონაცემებით, საქართველოდან ლიტვაში „ზედაზენის“ ლიმონათი გაჰქონდათ. ეს კომპანია კი ცეზარ ჩოჩელისაა“ — ნაცვლად „ზედაზენის“ ლიმონათისა, უნდა იყოს ლიმონათი „ნატახტარი“, რომელსაც 2006 წლიდან აღარ აქვს შეხება მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელთან და სს „ქართული ლუდის კომპანიასთან“.

შსს-ს სტატისტიკა — დანაშაულმა იკლო, გახსნილი საქმეების რაოდენობა გაიზარდა

ეროსუდან შელია
557-100-768

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მიმდინარე წლის 10 თვის დანაშაულის სტატისტიკა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით კრიმინოგენულ ვითარებას ასახავს. სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 7112 ერთეულით იკლო, რაც ჯამში, 22,7%-ს შეადგენს, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 40,6%-ით მოიმატა (59,1%).

შსს ოქტომბრის თვის დანაშაულის სტატისტიკასაც აქვეყნებს — ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის კლება 1004 ერთეულით დაფიქსირდა, რაც 27,6%-ს შეადგენს, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი კი 64,5%-მდე გაიზარდა, რაც 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 56,3%-ით მატებას ნიშნავს. კერძოდ,

2013 წელს, ქვეყნის მასშტაბით, დანაშაულის 24 175 ფაქტი დაფიქსირდა. მათგან 14 285 უკვე გახსნილია ანუ გახსნის მაჩვენებელი 59,1%-ს შეადგენს. 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის 31 287 შემთხვევიდან მხოლოდ 5 789 გაიხსნა და შესაბამისად, საქმის გახსნის მაჩვენებელი შარშან მხოლოდ 18,5% იყო. სტატისტიკის მიხედვით, ჩანს, რომ წინა წელთან შედარებით, დანაშაულის მაჩვენებელმა 7112 (22,7%)-ით იკლო, დანაშაულის წარმატებით გახსნის მაჩვენებელმა კი 40, 6%-ით მოიმატა.

შესამჩნევი ცვლილება ოქტომბრის თვის სტატისტიკაშიც ფიქსირდება: 2013 წლის ოქტომბერში 2640 დანაშაულიდან 1703 საქმე ანუ 64,5% გაიხსნა, 2012 წელს კი, დაფიქსირებული 3 644 ფაქტიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ 298 საქმე გამოიძია, რაც ჯამში, საქმეების 8,2%-ს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც დანაშაულის კლების მაჩვენებელმა 1004 (27,6%)-ით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 56,3%-ით იმატა.

რაც შეეხება რეგიონების მიხედვით გამოქვეყნებულ სტატისტიკას. 2013 წელს თბილისში კანონდარღვევის 1304 ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან 696 საქმე წარმატებით გაიხსნა. 2012 წელს კი 1 644 მომხდარი დანაშაულიდან 96 გაიხსნა და გახსნის მაჩვენებელმა მხოლოდ 5,8% შეადგინა. შესაბამისად, დანაშაულმა წინა წელთან შედარებით, 340 (20,7%)-ით იკლო, გახსნის მაჩვენებელი კი 47,5%-ით გაიზარდა.

შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა იმატა რეგიონებშიც. კერძოდ, 2013 წელს იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირებული 279 დანაშაულიდან 251 ანუ 90% გაიხსნა, 2012 წელს კი იგივე რეგიონში მომხდარი 476 საქმიდან მხოლოდ 63 შემთხვევა (13,2%) გამოიძიეს. შესაბამისად, დანაშაულმა 2013 წელს იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 197 (41,4%)-ით იკლო. გახსნის მაჩვენებელმა კი 76,7%-ით იმატა.

2013 წელს ქვემო ქართლის რეგიონში მომხდარი 187 დანაშაულიდან 110 საქმე გაიხსნა, რაც საერთო მაჩვენებლის 58,8%-ს შეადგენს. 2012 წელს კი ამ რეგიონში მომხდარი 442 კანონდარღვევიდან 25 გაიხსნა (5,7%). ჯამში, ქვემო ქართლში დანაშაულმა შარშანდელთან შედარებით 255 (57,7%) შემთხვევით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 53,2% შეადგინა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 2013 წელს 143 დანაშაულიდან 118 საქმე გაიხსნა, რაც გახსნის მაჩვენებლის 82,5%-ს შეადგენს. 2012 წელს, 234 საქმიდან მხოლოდ 25 გაიხსნა ანუ გახსნის მაჩვენებელი მხოლოდ 10,7%-ს შეადგენდა. მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით, დანაშაულმა 91 (38,9%)-ით იკლო, გახსნის მაჩვენებელი კი 71,8%-ით გაიზარდა.

დანაშაულის გახსნის 67,9%-ით ზრდა დაფიქსირდა კახეთის რეგიონშიც. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2013 წელს კახეთში მომხდარი 185 დანაშაულიდან 164 (88,6%) გაიხსნა, როცა 2012 წელს 212 დანაშაულიდან მხოლოდ 44 საქმეა გახსნილი, რაც ჯამში 20,8%-ს შეადგენს. შესაბამისად, დანაშაულმა კახეთის რეგიონში 27 (12,7%)-ით იკლო.

აჭარის რეგიონში 2013 წელს 225 დანაშაული დაფიქსირდა, მათგან 143 გაიხსნა. გახსნის მაჩვენებელი 63,6% დაფიქსირდა. 2012 წელს მომხდარი 269 დანაშაულიდან მხოლოდ 6 გაიხსნა, რაც საერთო საქმის 2,2%-ს შეადგენს. სტატისტიკის მიხედვით, აჭარაში წინა წელთან შედარებით, დანაშაულმა 44 (16,4%) შემთხვევით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 61,3%-ით იმატა.

რაც შეეხება შიდა ქართლის რეგიონს, 2013 წელს , დანაშაულის 104 ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან 67 წარმატებით გაიხსნა. ჯამში, გახსნის მაჩვენებელმა 64,4% შეადგინა. წინა ხელისუფლების პირობებში კი 2012 წელს 173 დანაშაულიდან მხოლოდ 20 გაიხსნა, რამაც საბოლოოდ, 11,6% შეადგინა. შესაბამისად, შიდა ქართლში წინა წელთან შედარებით, დანაშაულმა 69 (39,9%)-ით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 52,9%-ით იმატა.

იგივე ტენდენციაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც. 2013 წელს მომხდარი 66 დანაშაულიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ 55 გახსნა, რაც საერთო მაჩვენებლის 83,3 %-ს შეადგენს. 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში მომხდარი 63 დანაშაულიდან მხოლოდ 12 გაიხსნა, რაც გახსნილი საქმეების 19%-ია. სამცხე-ჯავახეთში დანაშაულის მატება 3(4,8%)-ით დაფიქსირდა, გახსნილი საქმეების მაჩვენებელმა კი 64,3% შეადგინა.

გურიაში მომხდარი 57 დანაშაულიდან 2013 წელს 28 საქმე გაიხსნა, რამაც გახსნილი საქმეების მაჩვენებლის 49,1% შეადგინა. 2012 წელს კი 53 საქმიდან მხოლოდ 2 დანაშაულის ფაქტი გაიხსნა, რამაც 5,7% შეადგინა. დანაშაულის მატება 4 (5,5%) შეადგინა, გახსნილი მაჩვენებლის მატება კი 43,5% დაფიქსირდა.

მცხეთა-მთიანეთის რაიონში 2013 წელს 90 დანაშაულიდან შსს-მ 71 წარმატებით გახსნა. შესაბამისად, გახსნის მაჩვენებელმა 78,9% შეადგინა, როცა 2012 წელს გახსნილი საქმეების მაჩვენებელი მხოლოდ 5,1% იყო. ჯამში, მიუხედავად დანაშაულის 12 (15,4%)-ით მატებისა, გახსნის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 73,8%-ით გაიზარდა.

შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის სიზუსტეში ეჭვი არ ეპარება ექსპერტ **კახი კახიშვილს**, მისი განცხადებით, კარგად ჩანს, რომ შს სამინისტრო წინა წლებთან შედარებით, ბევრად ეფექტურად მუშაობს: **„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის რაოდენობამ იკლო, გახსნილი საქმეების მაჩვენებელმა კი საგრძნობლად იმატა. ნამდვილად არ არსებობს საფუძველი, უწყების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის რეალობაში ეჭვი შევიტანოთ. ოპონენტები საუბრობენ, რომ შსს ჩადენილ ყველა დანაშაულს არ არეგისტრირებს, თუმცა დღევანდელი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ეს შეუძლებელია. დღეს ფაქტის დაფიქსირება რომელიმე პოლიციის განყოფილებაში რომელიმე მორიგის განწყობაზე დამოკიდებული არ არის. რთულია, დანაშაულის ფაქტი დამალო, როცა თუნდაც 112-ზე და საპატრულო გამოძახების ცხელ ხაზზე საუბარი ავტომატურად იწერება. როცა ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნის დროს დანაშაული საერთოდ არ ხდებოდა, ლოგიკური კითხვა ჩნდება: თუ მათი განცხადება სიმართლეა, როგორ აღმოვჩნდით პატიმრების რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე, რის საფუძველზე აპატიმრებდნენ მოქალაქეებს?!“**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა საპარლამენტო უმრავლესობის წევრ **ზვიად ძიძიგურისთვის** კიდევ ერთი არგუმენტია, თუ რატომ უნდა დაინიშნოს ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის თანამდებობაზე. მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა ჯერ კიდევ მოქმედმა მინისტრმა ერთ წელიწადში უწყების სრული გაჯანსაღება შეძლო: **„ვანო მერაბიშვილი დანაშაულის სტატისტიკას აყალბებდა და დანაშაულის რეგისტრაცია არ ხდებოდა. დღეს ეს პრობლემა აღმოფხვრილია და კარგად ჩანს, რომ დანაშაულის სტატისტიკამ იკლო, გახსნილი საქმეების რაოდენობამ კი იმატა. პოლიცია პოლიტიკურ დავალებებს არ ასრულებს და არჩევნებშიც არ მონაწილეობს. ირაკლი ღარიბაშვილმა ერთი წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ საოცრად შრომისმოყვარეა და საუკეთესო მენეჯერია. ეს კიდევ ერთი კარგი არგუმენტია, თუ რატომ უნდა დაინიშნოს ღარიბაშვილი პრემიერის თანამდებობაზე. მაქვს საფუძველი ვთქვა, რომ ნელ-ნელა ევროპული სტანდარტის სახელმწიფო ვხდებით. ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას, სატელიტ ტელევიზიებს, ზემდგომი ორგანოები მომხდარი დანაშაულის გაშუქებას კატეგორიულად უკრძალავდნენ. ეს შეზღუდვა დღეს მედიას არ აქვს და საზოგადოებაც სიმართლეს იგებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი დანაშაულს ეფექტურად ებრძვის“.**

ლიბერთი ბანკმა ახალი საკრედიტო ბარათი Shopping Card გამოუშვა

ლიბერთი ბანკის გარე გაყიდვების დეპარტამენტის უფროსმა, ლევან ასანიშვილმა მომხმარებლებს ახალი საკრედიტო ბარათი — **Shopping Card** წარუდგინა და მის ძირითად უპირატესობებზე ისაუბრა. ლევან ასანიშვილის თქმით, ახალი საკრედიტო ბარათი უპრეცედენტოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთით, წლიური 26%-ით გამოირჩევა.

ასანიშვილის განმარტებით, **Shopping Card-**ს საოცარი თვისება ახასიათებს. ახალი საკრედიტო ბარათით წარმოებული ყოველი მეათასე ოპერაციის თანხა, ბარათის მფლობელს, დაუყოვნებლივ უკან უბრუნდება. გარდა ამისა, **Shopping Card-**ით შესაძლებელია ონლაინშოპინგი ყველა ინტერნეტმაღაზიაში, რომელიც **VISA** სისტემით სარგებლობს:

„ახალი საკრედიტო ბარათის Shopping Card-ის საშუალებით, შეძლებთ კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდას, Sმარტივი ბარათის ბალანსის შევსებასა და 300-ზე მეტი პროვაიდერის გადასახადის გადახდას. ახალი საკრედიტო ბარათის მფლობელები 50%-მდე ფასდაკლებით ისარგებლებენ სხვადასხვა სავაჭრო და მომსახურების წერტილებში. სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შესახებ ინფორმაცია კი იხილეთ ვებ-გვერდზე www.cheap.ge. რაც მთავარია, ახალ საკრედიტო ბარათს Shopping Card-ს გააჩნია წლიური მომსახურებისა და საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების შეღავათიანი საკომისიოები“, — განაცხადა ლევან ასანიშვილმა.

რა აკავშირებს ზაზა ხატიაშვილს ზურაბ ადეიშვილსა და მიხეილ მაჭავარიანთან?!

ეკა სეხნიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, შესაძლოა, ახალ სკანდალში გაეხვიოს. მას უნგრეთის ადვოკატთა ასოციაციისთვის ინფორმაცია მიუწოდებია, რომ საქართველოში იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის სამართლებრივი დევნა, შესაძლოა, პოლიტიკური ნიშნით იყოს განპირობებული და ამას ხატიაშვილის მიერ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიას თუ დავუმატებთ, მისი და ნაციონალების ინტერესების გადაკვეთის შესახებ ეჭვებიც გაჩნდება.

მაინც რატომ ებრძვის ზაზა ხატიაშვილი ასე თავგამოდებით ირაკლი ღარიბაშვილს? როგორც ამბობენ, ღარიბაშვილმა მას ძალოვანებთან მისასვლელი კულუარული გარიგებების არხები გადაუკეტა. არადა, წლების წინ, სააკაშვილის მმართველობისას, ადვოკატთა ასოციაციის ყრილობაზე ხატიაშვილსა და ადეიშვილს შორის „ფარული ზავის“ დადებაზეც გავრცელდა ინფორმაცია. ქრონოლოგიურად კი მოვლენები ასე განვითარდა: თავდაპირველად, ჭიდილი ახალაიებსა და ადეიშვილს შორის მიდიოდა. ადეიშვილი, როგორც ამბობდნენ, ხატიაშვილს მხარს არ უჭერდა, თუმცა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ვითარება რადიკალურად შეიცვალა — ადეიშვილმა საქმეში თავისი კონტროლირებადი ადვოკატები ჩართო, რომლებმაც ხმები ხატიაშვილს მისცეს. ამ ფარული „ზავის“ სანაცვლოდ კი, მნიშვნელოვან ფინანსურ საქმეებზე ადვოკატთა ასოციაცია აღარ იყვირებდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერს ვამტკიცებთ, თუმცა ჩნდება კითხვები, მათ შორის, იმ პერიოდზე, როცა ადეიშვილის ზეობის ხანაში, ხატიაშვილმა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ჩამოიყვანა და იუსტიციის მაშინდელ მინისტრთან ერთგვარი „ზავი“ დადო, რომ ადვოკატებს პროკურორები მათივე საქმეებზე აღარ დაკითხავდნენ. საეჭვოა, „ტირანსა“ და „პირსისხლიან“ ადეიშვილს გაევლო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის ჭკუაზე, მაგრამ როგორც ამბობენ, საქმეში მაშინ უშუალოდ ჩაერთო მინისტრის ძმა დავით ადეიშვილი. ხატიაშვილი წარმოშობით სიღნაღიდანაა, ძმები ადეიშვილები — ყვარლიდან. „სააკაშვილის ეპოქაში“ კახეთი ყოველთვის მათ „სამეფო ზონად“ მიიჩნეოდა და თანაც, დავით ადეიშვილი ხარატიშვილის თანაკურსელი იყო.

როცა ივანიშვილის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში მოწმის დაკითხვის გარკვეული უფლება აღმდგარიყო, ხატიაშვილმა სასწრაფო წესით ქუთაისში, პარლამენტთან აქცია მოაწყო და სააკაშვილს ვედრება გაუგზავნა, კანონპროექტს ვეტო დაადეო. პრეზიდენტიც, რომელიც ხატიაშვილის მტკიცებით, მას მთელი ცხოვრება ებრძოდა, მოულოდნელად, სინდისმა შეაწუხა და ადვოკატის სურვილი ელვისისწრაფით შეასრულა, ოღონდ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, მიხეილ მაჭავარიანის „შუამავლობით“ — სწორედ მაჭავარიანს უთხოვია ხატიაშვილისთვის, პრეზიდენტს საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის კანონპროექტზე ვეტოს დადება საჯაროდ მოსთხოვეთო.

უცნაურია კიდევ ერთი ფაქტი, როდესაც ბაჩო ახალაიას ადვოკატმა გიორგი ონიანმა ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე გაბედავას დაარტყა, უფლებადამცველები მის დასჯას ითხოვდნენ, ხატიაშვილი კი ონიანს ზუსტად ისე გამოექომაგა, როგორც საგარეჯოში მომხდარი ინციდენტისას ძმას, იოსებ ხატიაშვილს, მეგობარი და იდეური მხარდამჭერი თეა თუთბერიძე. დღეს ხატიაშვილის ძმაცა და თუთბერიძეც სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფში საქმიანობენ. „ვერსია“ კომენტარისთვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, **ზაზა ხატიაშვილს** დაუკავშირდა.

— „ვერსიის“ ინფორმაციით, უნგრეთის ადვოკატთა ასოციაციას მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ ზურაბ ადეიშვილს პოლიტიკური ნიშნით დევნიან. მართალია?

— ზურაბ ადეიშვილი კრიმინალია. ორი წლის განმავლობაში 157 ადვოკატი გაამწარა... მე ეგ გამოვაცხადე სისხლის სამართლის დამნაშავედ, რადგან აკონტროლებდა და სპობდა სისტემას.

— თუ ასეა, მისი გავლენის ფონზე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ როგორ აგირჩიეს და მით უმეტეს, მხარი პროკურატურის მიერ კონტროლირებადმა ადვოკატებმა როგორ დაგიჭირეს?

— რას ამბობთ, ჩემს მხარდამჭერებს სოდ-სა და კუდ-ში იბარებდნენ და აფრთხილებდნენ — ხატიაშვილს ხმა არ მისცეთო, თუმცა ზეწოლის მიუხედავად, ადვოკატებმა მხარი მაინც დამიჭირეს.

— ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, პარლამენტთან საპროცესო კოდექსში ცვლილებების წინააღმდეგ აქცია მოაწყვეთ. მართლა მიშა მაჭავარიანმა შემოგთავაზათ, კანონპროექტზე ვეტოს დადება პრეზიდენტისთვის თავად მოგეთხოვათ?

— გინდათ თქვათ, რომ ნაციონალებთან ვთანამშრომლობ? სააკაშვილს „დიდ რვიანთან“ ვუჩივლე, მას ევროპის მაღალი ტრიბუნიდან „21-ე საუკუნის ჰიტლერი“ ვუწოდე, მაჭავარიანს კი ცხოვრებში არ შევხვდრივარ...უბრალოდ, სააკაშვილს ღია ეთერით მოვუწოდე, სიცოცხლეში ერთხელ მაინც, ადვოკატებისთვის სიკეთე გაეკეთებინა. ახალი „ფეოდალის“, ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში, ადვოკატთა უფლებების შეზღუდვა დავბლოკე — ეს ჩემი დამსახურებაა. სხვათა შორის, ადეიშვილმა, ბევრ ბოროტებასთან ერთად, ერთი სიკეთე გააკეთა — 2012 წლის თებერვალში აიღო ვალდებულება, რომ ადვოკატებს აღარ დაკითხავდნენ და ეს პირობა შეასრულა.

— თქვენ და ადეიშვილი ხომ ერთი რეგიონიდან ხართ. როგორც ვიცი, მისი ძმა დავით ადეიშვილიც მეგობრობდა თქვენთან...

— მარტო ერთი რეგიონიდან კი არა, კაცო, ჯგუფელები ვიყავით. ადეიშვილი რომ ცუდია, არ ნიშნავს, რომ ახალი მთავრობის პროკურატურაა კარგი. კბილაშვილი რომ მობრძანდა, ეს ტენდენცია აღადგინა — ადვოკატი ინგა კუპრავა დაიბარეს და ჰონორარი რომ აიღე, პროკურორს თუ მიეცო, ჰკითხეს. მე შევაჩერე ეს უმსგავსობა. სააკაშვილიც და ივანიშვილიც სამოქალაქო საზოგადოების მტრები არიან... ნაკლებად მაინტერესებს, ვინ იქნება პრეზიდენტი ან პრემიერი, მთავარია, სამოქალაქო საზოგადოება იყოს დაცული.

ვინ აბრუნებს ჯოზეფ კეის საქართველოში

გოგა აბაშიძე

ის აღიარებს, რომ მატყუარა და თაღლითია. უფრო მეტიც, არც იმის თქმას ერიდება, რომ სიცრუე არაერთხელ უთქვამს. საერთოდ, მთელი მისი ცხოვრება სიცრუეზეა აგებულ და ხეირიანად ისიც კი არ იცის, სინამდვილეში ვინაა — ლორდი ჯოზეფი, ჯოზეფ კაკალაშვილი, ჯოზეფ კეი, იოსებ კაკიაშვილი თუ იოსებ კაკალაშვილი. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აწ განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის გერი დეიდაშვილია, რომელიც საეჭვო ვითარებაში პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ქართული საზოგადოების წინაშე ჯოზეფ კეის სახელით წარსდგა — იმხანად კეი ამტკიცებდა, რომ პატარკაციშვილმა მთელი ქონება სწორედ მას უანდერძა. შესაბამისად, თვითმარქვია მემკვიდრემ, ყალბი ანდერძით, ტელეკომპანია „იმედსა“ და გარდაცვლილი მილიონერის სხვა აქტივებთან ერთად, შპს „რუსთავის ფოლადიც“ მიისაკუთრა.

საგულისხმოა, რომ კეიმ, რომელიც გიბრალტარისა და დასავლეთის სხვა დამოუკიდებელმა სასამართლოებმა თაღლითობაში ამხილეს, საქართველოში ყველა სასამართლო პროცესი მოიგო.

თავის დროზე ანუ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, მატყუარა კეი ნაციონალების მარიონეტი იყო, რასაც, სხვა თუ არაფერი, ისიც მოწმობს, რომ სააკაშვილის გუნდს „იმედი“ ხონჩით მიართვა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ ქართულ სამართალს პოლიტიკამ სძლია და ნაციონალური ხელისუფლებისგან დატყვევებულმა სასამართლომ ყველა დავა „ლორდი ჯოზეფის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიქმნა ილუზია, რომ პოლიტიკაზე მაღლა სამართალი დადგებოდა, თუმცა შპს „რუსთავის ფოლადის“ გარშემო განვითარებული მოვლენები ბადებს ლეგიტიმურ ეჭვს, რომ თემიდას სასწორზე სიმართლეს ისევ პოლიტიკა გადაწონის. ამ ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება რიტორიკული კითხვა — ვინ ცდილობს ჯოზეფ კეის საქართველოში დაბრუნებას?

რაც შეეხება „რუსთავის ფოლადს“, გაკოტრებული კომპანიის აქტივები ბადრი პატარკაციშვილმა 2005 წელს, აუქციონის წესით შეიძინა. 2008 წლის თებერვალში, პატარკაციშვილი, რომელიც იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერად ითვლებოდა, ლონდონში გულის შეტევით გარდაიცვალა და ამ დროს პოლიტიკურ ავანსცენაზე მისი თვითმარქვია მემკვიდრე ჯოზეფ კეი ჩნდება, რომელიც ტელეკომპანია „იმედს“ ნაციონალებს ჩუქნის, რის სანაცვლოდაც, პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღადქცეული ქართული სასამართლო, გაყალბებული ანდერძის საფუძველზე, კეის განსვენებული პატარკაციშვილის არათუ ანდერძის აღმსრულებლად, არამედ მთელი მისი ქონებისა და აქტივების, მათ შორის, შპს „რუსთავის ფოლადის“ მეპატრონედაც აცხადებს... მოგვიანებით, საერთაშორისო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ კეის „რუსთავის ფოლადსა“ და პატარკაციშვილის სხვა აქტივებზე საკუთრების უფლება არ ჰქონდა, „დეფორმირებულმა“ ქართულმა სასამართლომ კი განსვენებულის ოჯახის ტრასტს მართვის კონტროლის უფლება არ მისცეს, რის შემდეგაც, პატარკაციშვილის ოჯახი იძულებული გახდა, ქართული სახელმწიფოსთვის საერთაშორისო არბიტრაჟში ეჩივლა.

2011 წელს პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მორიგება შედგა, რომელსაც კეიც დაეთანხმა. ამასობაში, გაირკვა, რომ „ლორდი ჯოზეფის“ მმართველობის დროს ქარხანას 86 მილიონი ვალი დაუგროვდა, რის გამოც „ქართული ფოლადი“ სასამართლომ გადახდისუუნაროდ აღიარა. პრაქტიკულად, გაკოტრებული „ქართული ფოლადის“ აქციები განსვენებული პატარკაციშვილის ოჯახმა შეიძინა და ამ პროცესს მოსამართლე ქოჩიაშვილი ზედამხედველობდა.

სხვათა შორის, მოსამართლე ქოჩიაშვილი იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ მართავს პოლიტიკა ქართულ სამართალს... ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ფოლადმა“ ახალი მფლობელის ანუ პატარკაციშვილის ოჯახის მმართველობით კრიზისი დაძლია და კრედიტორების გასტუმრებაც დაიწყო, კეიმ „ქართულ ფოლადში“ კოლცჰის-ის წილზე კონტროლი მოიპოვა და „რუსთავის ფოლადისთვის“ „ქართული ფოლადის“ აქტივების მიყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, სასამართლოს მიმართა. აი, სწორედ აქ „ივაჟკაცა“ მოსამართლე ქოჩიშვილმა და 2013 წლის ივლისში „ქართული ფოლადის“ მოთხოვნა უკანონოდ დააკმაყოფილა. ნიშანდობლივია, რომ სააპელაციო სასამართლომაც მოსამართლე ქოჩიშვილის უკანონობას მხარი აუბა და მის მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

ყველაფერი ეს კი იმ ფონზე მოხდა, როცა დასავლური სასამართლოების მიერ ჯოზეფ კეი საერთაშორისო თაღლითადაა მიჩნეული და ამას გიბრალტარის სასამართლოზე მოსამართლესა და კეის შორის გამართული დიალოგიც მოწმობს:

კითხვა: — ...ჩვენებაში თქვენ მოიტყუეთ იმ იმედით, რომ ეს დაგეხმარებოდათ საქმის მოგებაში?

კეი: — დიახ.

კითხვა: — ჩვენებაში თქვენ იცრუეთ?

კეი: — დიახ...

კითხვა: — თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც მზადაა, მისცეს ცრუ ჩვენება, რათა თაღლითურად დაესაკუთროს მესამე მხარის დიდი რაოდენობით ფულს, ამ შემთხვევაში, შიდა შემოსავლების სამსახურს?

კეი: — დიახ.

კითხვა: — ანუ თქვენ ასეთი ადამიანი ხართ?

კეი: — დიახ.

კითხვა: — ჩვენ ვიცით, რომ ცრუ ჩვენებისთვის გათვალისწინებული სასჯელის მიუხედავად, შიდა შემოსავლების სამსახურს მიეცით ცრუ ჩვენება?

კეი: — დიახ, მე ბევრჯერ ვიცრუე!

შეგახსენებთ: ესაა ამონარიდები გიბრალტარის სასამართლო სხდომის ჩანაწერიდან, რომელიც 2009 წლის 12 ივნისს გაიმართა.

ერთი სიტყვით, ჯოზეფ კეი სხვისი ქონების მოპარვას მესამედ აპირებს. არადა, საკითხავია, ადამიანს, რომელიც დასავლეთის ყველა დამოუკიდებელმა მოსამართლემ თაღლითად სცნო, ქართული თემიდა უდანაშაულოდ როგორ აღიარებს? — როგორც ჩანს, ყველაფერ ამის უკან პოლიტიკა დგას...

კინგსტონის უნივერსიტეტის (აშშ) სამაგისტრო პროგრამა

ლევან ცალუღელაშვილი
570-700-537

ბიზნესის ადმინისტრირებაში კინგსტონის უნივერსიტეტი (აშშ) აცხადებს სტუდენტთა მიღებას შემდეგ პროგრამებზე: MBA მარკეტინგის მენეჯმენტი; MBA სასტუმრო ბიზნესი; MBA ორგანიზაციათა მართვა; MBA საერთაშორისო ბიზნესი; MBA საინფორმაციო სისტემების მართვა; MBA ჯანდაცვის მენეჯმენტი; MBA ელექტრონული ბიზნესი; MBA ჰორეკა მენეჯმენტი; MBA ფინანსები; MBA ბუღალტერია/გადასახადები; MBA ეკონომიკა; MBA არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა; MBA მენეჯმენტი.

ინგლისურ და რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამების უპირატესობები თქვენთვის და თქვენი კომპანიის თანამშრომლებისთვის: ისწავლოთ თქვენთვის მოსახერხებელ დროს; მიიღოთ თანამედროვე სტანდარტის კვალიფიკაცია; დაზოგოთ ფულადი სახსრები; აირჩიოთ მოდულების თანმიმდევრობა; აიღოთ ტაიმ-აუტი და განაგრძოთ სწავლა მოგვიანებით.

მოთხოვნები: ბაკალავრის დიპლომი; ინგლისური ენის ცოდნის დონე (საშუალოზე მაღალი); ორგანიზებულობა.

სწავლება ორწლიანია. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ერთჯერადი მოსაკრებელი შეადგენს 680 აშშ დოლარს; ხოლო მეორე წლის ბოლოს — 700 აშშ დოლარს. უნივერსიტეტში სწავლის მსურველებს ვთხოვთ, გამოგზავნონ თავიანთი CV, ბაკალავრის დიპლომის ასლი და ფოტოსურათი დაარქივებულ ფორმატში. ელფოსტაზე: danikaconsulting@yahoo.com. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ არჩეული პროგრამის სახელწოდება. ჩარიცხულ სტუდენტებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

წარმომადგენლობა თბილისში: უზნაძის ქ. 78 ტელ: 570700537; 593302555; 2969019 www. Danikaconsulting.com

1. რეჟისორი სერიალისა „დათა თუთაშხია“
2. ფუფალას ვირტუალური სატრფო
3. ჰოლივუდის მსახიობი მია ...
4. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე
5. ხელოვნური საერთაშორისო ენა
6. სპირტიანი სასმელების მიღების სრული აღკვეთა
7. ჭიანმარის (ბირმის) უდიდესი მდინარე
8. გაცვეთილი, აქტუალობას მოკლებული იდეა
9. გარეული ფრინველი
10. ჰოლანდიელი მოგზაური და მკვლევარი
11. ქართველთა წარმართული ღვთაება
12. გეოდეზიური ხელსაწყო
13. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
14. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
15. იგივე მამითადი
16. ქალაქი ჩილეში
17. მექანიკის ნაწილი
18. თევზის ნახარშისგან მომზადებული წვნიანი
19. ვარდენის ქალიშვილი „უდიპლოლოგ სასიძოში“
20. ისტორიული ქალაქი პოლონეთში
21. ძვ. ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი
22. მექსიკის დროშაზე გამოსახული მცენარე
23. ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
24. შვიდი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
25. ატმოსფეროს მდგომარეობა მოცემ. ადგილსა და დროს
26. ბავშვთა სასრიალო მარხილი
27. ლაბორატორიული ჭურჭელი
28. ძაღლის ჯიში
29. ავსტრალიური სირაქლემა
30. გაზაფხულის ყვავილი
31. ავტო-მობილი ბავშვის ენაზე
32. გულის მოქმედების ციკლის ერთ-ერთი ფაზა
33. ბოსნიური წარმოშობის შვედი ფეხბურთელი
34. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
35. ქართველი რეპერი
36. აგენტი 007
37. „ბმვ“ ფირმის ავტომობილების ჟარგონული სახელწოდება
38. აკაკი წერეთლის პოემა
39. ქალაქში დაბრკოლებათა რაციონალური დაფარვის ხელოვნება
40. სახელი პეტრეს ქართული თარგმანი
41. ბატკნის მოგების დრო
42. ეგვიპტის კუთვნილი ნახევარკუნძული
43. ღამის ანტონიმი
44. ზევსის ფარი
45. ბოშათა თეატრი მოსკოვში
46. ეთიოპიისგან გამოყოფილი სახელწმიფო
47. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია
48. ალასკის აბორიგენი მცხოვრები
49. პირენეის ნახევარკუნძ. ლათინური სახელწოდება
50. აღმ. საქარ. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე
51. არჩევა-ნის საპა-სუხო სიტ-ყვა თამაშში
52. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
53. ხოხბის ბარტყი
54. ისტორიული სოფელი გარეკახეთში
55. სუსტი სპირტიანი სასმელი მადის მოსაყვანად
56. საგანთა ჩამონათვალი
57. შალის „კულულებიანი“ ქსოვილი
58. ყარაჩოხელთა სამდინარო ტრანსპორტი
59. ბიბლიური აბრაამის მამის სახელი
60. ფრანგი მწერალი
61. გიტარის მაგთული
62. ქართველ ქალთა თავსაბურავის კომპონენტი
63. ლ. დელიბის ბალეტი
64. იტალ. საფ. კლუბი
65. ალისას „ლიტერატურული მამა“
66. მექსიკონლეობის ფერმა აშშ-ში
67. ძვირფასი ქვა, იგივე იასპი
68. მუქი წითელი ფერის მინერალი
69. ისრაელის სპეცდაზვერვის სააგენტო
70. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
71. ბრიტანელი მწერალი
72. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
73. დიდი ჩაქუჩი
74. აღმოსავლური ტრადიციული მუსიკალური ანსამბლების ინსტრუმენტი
75. კუნძულოვანი ქვეყანა წყნარ ოკეანეში
76. ისრაელის წარმოების ავტომატი
77. იგივეა, რაც სინდისი
78. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
79. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
80. ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა
81. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება

ჰოროსკოპი
8 ნოემბერი

ვერძი — დროა, დასახოთ პრიორიტეტები და მეტი ყურადღება დაუთმოთ თავს. რთული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ, დაფიქრდით, რისი დათმობა შეგიძლიათ. კარგი დღეა ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად.

კურო — ვარსკვლავები მოულოდნელობებით აღსავსე დღეს გპირდებიან, შესაძლოა, თავი უმნიშვნელო ფინანსურმა პრობლემებმაც იჩინოს, სამაგიეროდ, საქმიან წინადადებას მიიღებთ და წარმატების შანსი უფრო გაიზრდება.

ტყუპები — კარგად გააანალიზეთ არსებული რეალობა და პრობლემების მოგვარების გზები დასახეთ. არ იჩქაროთ და ყოველი ქმედება აწონ-დაწონეთ.

კირჩხიბი — წინდახედული ნაბიჯების გადადგმა მოგეთხოვებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ. კარგი დღეა საქმიანი ურთიერთობებისთვის, სადამოს კი რომანტიკული შეხვედრა გელით.

ლომი — ყოფითი საქმეები დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. თუ მოთმინებას გამოიჩენთ და მოვლენებს სადი გონებით გააანალიზებთ, ვითარების გაკონტროლებას შეძლებთ.

ქალწული — დეპრესიული ფონი მატულობს. თუ გონებრივი სამუშაოს შესრულებას სხვა დროისთვის გადადებთ, უსიამოვნებას აიცილებთ. ყურადღების კონცენტრაცია დაგჭირდებათ — ეცადეთ, სარისკო ნაბიჯები არ გადადგათ.

სასწორი — თქვენი გონება და ემოციები ურთიერთპარმონიაშია, რაც დღის განმავლობაში წარმოქმნილი პრობლემების ოსტატურად მოგვარებასა და კოლეგებთან კონფლიქტის დროულად აღმოფხვრაში დაგეხმარებათ.

ღრიანცელი — მოთოკეთ ემოციები, ზედმეტად ნუ გაღიზიანდებით და ხელოვნურად ნუ შექმნით დაძაბულ გარემოს. სადამოს სუფთა პაერზე, საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ. ეს სასიცოცხლო ძალებს აღგიდგენთ.

მშვილდოსანი — საქმიანი კუთხით საკმაოდ რთული დღე გელით. შეეცადეთ, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას ცივი გონებით იხელმძღვანელოთ და ემოციებს არ აყვეთ. გახსოვდეთ, რომ პროფესიულ ასპარეზზე წარმატების მიღწევას მხოლოდ მოთმინების წყალობით შეძლებთ.

თხის რქა — შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა ნაკლებად მიეცემათ, მაგრამ მაინც მოახერხებთ დასახული მიზნის მიღწევას. ვარსკვლავები სთურთხილეს გირჩევენ, რადგან დიდია საბედისწერო შეცდომის დაშვების ალბათობა.

მერწყული — გეგმების რეალიზება ადვილი არ არის, ბევრი წინააღმდეგობა გხვდებათ, მაგრამ თუ რეალობის შეგრძნებას არ დაკარგავთ და არსებულ ვითარებას სწორად გააანალიზებთ, არც ლავირება გაგიჭირდებათ.

თევზები — ყურადღებით იყავით — თქვენი შეხედულებები ცხოვრებაზე რეალობისგან საკმაოდ შორსაა და ამის გამო, არაა გამორიცხული იმედგაცრუება. კარგი განწყობის შესანარჩუნებლად დრო ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

როგორ გავიგოთ ჩვენი ბიოლოგიური ასაკი?

ადამიანი შესაძლოა, მხოლოდ 30 წლის იყოს, მაგრამ თავს ისე გრძნობდეს, როგორც 50 წლისა. მეცნიერებმა შეადგინეს ტესტი, რომლის დახმარებითაც საკუთარი ბიოლოგიური ასაკის რამდენიმე წუთში გაგებას შეძლებთ. მაშ ასე:

1. გავისინჯოთ პულსი მშვიდ მდგომარეობაში. მერე 30 ბუქნი გავაკეთოთ და პულსი კვლავ შევამოწმოთ. თუ სხვაობა 10 დარტყმა იქნება — ბიოლოგიურად 20 წლის ხართ, 10-დან 20 დარტყმამდე — 30 წლის, 20-30 დარტყმა — 40 წლის, 30-40 დარტყმა — 50 წლის, 40 დარტყმა და ზემოთ — 60 წლის.

2. შევიმოწმოთ სახსრები — ხელები ზურგს უკან წავიღოთ და იდაყვების სიმაღლეზე შევაერთოთ. თუ ეს ადვილად გამოგივიდათ, თქვენი ბიოლოგიური ასაკი 20 წელია, თუ მხოლოდ ხელის თითები შეახეთ ერთმანეთს, ბიოლოგიური საათი 30 წელს აჩვენებს, ხოლო თუ თითების შეხებაც ვერ მოახერხეთ — 40 წელს.

3. შევამოწმოთ მოქნილობა — დავდგეთ სწორად, ფეხები მუხლებში ოდნავ მოვხაროთ და იატაკს მივწვდეთ. თუ ხელები იატაკზე ბოლომდე გაშალეთ, ესე იგი, ბიოლოგიურად 20-30 წლის ხართ, თუ მხოლოდ ხელის თითებით შეეხეთ — 30-40 წლის, კოჭებს თუ მიწვდით — 50 წლის.

4. შევამოწმოთ წონასწორობა — დახუჭეთ თვალები, დადექით მარცხენა ფეხზე და დაითვალეთ, რამდენ წამს გაჩერდებით ამ მდგომარეობაში. ამ დროს ხელები ტანის გასწვრივ ჩამოუშვით. თუ ცალ ფეხზე 30 წამზე მეტ ხანს გაძელით — 20 წლის ყოფილხართ, თუ 20 წამი გაჩერდით — 40 წლის, 15 წამს — 50 წლის, ხოლო თუ 10 წამზე ნაკლები იდექით — თქვენი ბიოლოგიური ასაკი 60 წელი და მეტი ყოფილა.

5. შევამოწმოთ კანის საფარის მდგომარეობა — ცნობილია, რომ შედარებით ახალგაზრდა კანი, კოლაგენური ბოჭკოების წყალობით, უფრო სწრაფად რეგენირდება, ვიდრე ასაკოვანი. ამის შესამოწმებლად ხელის მტევნის ზურგზე იჩქმიტეთ 5 წამის განმავლობაში და გაუშვით. დაითვალეთ, რა დროში დაიბრუნებს გათეთრებული კანი ნორმალურ ფერს. თუ ეს 5 წამში მოხდა, მაშინ ბიოლოგიურად თქვენი ასაკი 30 წლამდე ყოფილა, თუ 8 წამში — დაახლოებით 40 წლის ყოფილხართ, 10 წამში თუ აღდგა ფერი — 50 წლამდე, ხოლო თუ 15 წამში — მაშინ ბიოლოგიური ასაკი 60 წელს უახლოვდება.

დავლიოთ თუ არა ყავა?

რთულად მოიძებნება ზრდასრული ადამიანი, ვისაც ყავა არ გაუსინჯავს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ის ადამიანის ორგანიზმზე ნეგატიურად მოქმედებს, თუმცა როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ არომატულ სასმელს საკმაოდ ბევრი დადებითი თვისება აქვს.

ყავა — ანტიოქსიდანტების წყარო: 2005 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით აღმოჩნდა, რომ „ღმერთების სასმელი“ დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტს შეიცავს და მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთიერება ხილსა და ბოსტნეულშიც უხვადაა, ორგანიზმი მას ყავის საშუალებით უკეთ ითვისებს.

პანაცეა სტრესის წინააღმდეგ: გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ყავა უძილობით გამოწვეულ სტრესს ადვილად უმკლავდება და ამასთან, პარკინსონით დაავადების რისკს ამცირებს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ პარკინსონით დაავადებული ადამიანები მოძრაობებს უკეთ აკონტროლებენ, თუკი ისინი ყოველდღიურად მიირთმევენ ყავას. სასმელი სასარგებლოა ღვიძლისთვის განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანი ალკოჰოლს ეტანება — 125 ათას მოხალისეზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის, ვინც დღეში მინიმუმ ერთ ჭიქა ყავას მაინც მიირთმევს, ციროზისა და ღვიძლის დაავადების წარმოქმნის რისკი 20%-ით ნაკლებია.

ბედნიერების წყარო: ვინც დღეში 4-5 ფინჯან სასმელს მიირთმევს, ნაკლებად დეპრესიულია და ეს კოფეინს უკავშირდება. ყავის მოხმარება სუიციდის შემთხვევებსაც ამცირებს და ეს აღმოჩენა ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებს ეკუთვნით, რომლებიც განმარტავენ, რომ დღეში 2-4 ჭიქა ყავა თვითმკვლელობის რისკს 50%-ით ამცირებს როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლებში, ასევე მამაკაცებში.

ყავა კანის კიბოს წინააღმდეგ: ასეთი დასკვნები ამერიკელმა სწავლულებმა დადეს, რომლებიც 112 897 მოხალისეს 20 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ქალებს, ვინც დღეში მინიმუმ, სამ ფინჯან ყავას მაინც მიირთმევდა, კანის კიბოს განვითარების რისკი უმცირდებოდათ.

კოფეინი დიაბეტის წინააღმდეგ: სწავლულთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ ყავა ამცირებს დიაბეტის რისკს, ასევე ადამიანს უკეთ აზროვნებაში ეხმარება და სიმხნევეს მატებს.

ჰოროსკოპი
9 ნოემბერი

ვერძი — შესაძლოა, დღეს საქმისადმი ინტერესი გაგინელდეთ. ძველ მიზნებს ახალი შეცვლის, რაც სერიოზული ცვლილებების მიზეზი გახდება. შეეცადეთ, რეალურად შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები.

კურო — თქვენთვის უინტერესო და რთული საქმის შესრულება მოგიწევთ. მუშაობას ჩვეული გულმოდგინებით შეუდექით და ნურც პრობლემური საკითხების განხილვას გაექცევით.

ტყუპები — სამსახურში სართულე გელოდებათ, რამაც შესაძლოა, ხასიათი გაგიფუჭოთ, მაგრამ ამ გაურკვევლობაში დიდხანს არ დარჩებით — მალე ახალი იდეები გაჩნდება, რაც სწრაფ რეაგირებას ითხოვს.

კირჩხიბი — ნუ ელით, რომ თქვენს საქმეს სხვა გააკეთებს, ეს უდიდესი შეცდომაა — ნუ გაართულებთ მდგომარეობას, ჯერ კარგად გაარკვიეთ ყოველი ნიუანსი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

ლომი — არ არის სასურველი მასშტაბური პროექტის დაწყება. საკუთარი ინტერესების დაცვა მოგიწევთ, რადგან არაა გამორიცხული, მოსალოდნელი გარიგება ჩაიშალოს.

ქალწული — არჩევანში არ შეცდეთ და პარტნიორებად ისეთი ადამიანები აირჩიეთ, ვისაც ენდობით. ემოციური ფონი მომატებულია. ერთი მხრივ, ეს პირად ცხოვრებას მრავალფეროვნებას სძენს, მეორე მხრივ კი, გაუმართლებელი საქციელის რისკს ზრდის.

სასწორი — ძალიან ბევრს ზრუნავთ სხვებზე, საკუთარ საქმეებს კი ნაკლებ დროს უთმობთ. დადგა დრო, შეცვალოთ ყველაფერი — სწორად გათვალეთ პრიორიტეტები. ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობა სიხარულს მოგვგვრით, ხალხმრავლობას კი ერიდეთ.

ღრიანცელი — ოჯახური პრობლემები და ახლობლებთან უთანხმოება ხელს შეგიშლით საქმეზე კონცენტრირებაში, თუმცა თქვენი მოთმინების წყალობით ძალე ვითარება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები არ გირჩევენ სერიოზული საკითხების გადაჭრას, რადგან ნეგატიური დღეა. ნურც ოჯახის მოძავალთან დაკავშირებულ საკითხს გადაწყვეტთ და ნურც კონტრაქტების გაფორმებასა იჩქარებთ.

თხის რქა — დასვენება გსურთ, მაგრამ შექმნილი ვითარება თქვენგან აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ყურადღების ცენტრში მოექცევით, იმის მიუხედავად, რომ ჩრდილში დარჩენის სურვილი გექნებათ.

მერწყული — არჩეულ გზას მიჰყვეთ და ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვიოთ, რადგან ცდუნება დიდი იქნება. ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ და ნებისმიერი საკითხის წამოჭრა კამათს იწვევს. დაპლომატია გამოიჩინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზულ კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

თევზები — საკუთარ თავში ნუ ეჭვობთ ყველა პრობლემისა და უბედურების მიზეზს. შესაძლოა იფიქროთ, რომ წარმატების მისაღწევად საქმიანობის სფეროს შეცვლაა საჭირო, მაგრამ არ ღირს ამ გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					6		9	
	1			8	4		5	
		5				4		7
6	5		3	2		8		
		7		1	8		4	2
7		2				3		
	4		8	7			1	
	8		4					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			4	9	6		2	
5					2			8
2							7	
		6					8	4
		4				9		
3	8					6		
	1							3
4			1					7
	7		5	3	8			

ᲠᲗᲣᲚᲘ

			1					
6		4	8		7			
	1	8	9	6	5			
	8					6	3	
3				2				7
	5	7					2	
			2	7	6	5	1	
			3		1	2		9
					8			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	6		2					
3			4	8				
		7		5		9		
	5		9					
	2			7			8	
					6		1	
		8		4		3		
				9	1			8
					8		5	4

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
10 ნოემბერი

ᲪᲕᲘᲚᲘ — მაქსიმალურად ეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს, განსაკუთრებით, საყვარელ ადამიანთან. ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ, შესაძლოა, თანამოსაუბრის გაბრაზება და წყენა გამოიწვიოს.

ᲙᲣᲠᲘ — შეგიძლიათ, დრო შესანიშნავად გაატაროთ — მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაისეირნოთ, ᲰᲘᲕᲜᲘᲙᲘ მოაწყოთ... აქტიური დასვენება ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, ახალი ენერგიით აგავსებთ და შემოქმედებითი ᲰᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲗ დაგტვირთავთ.

ᲪᲣᲙᲕᲔᲚᲘ — მოულოდნელმა სატელეფონო ზარმა, შესაძლოა, განწყობა გაგიფუჭოთ. მოგიწევთ სასწრაფოდ გამგზავრება ან სამსახურში არასამუშაო საათებში გასვლა, რათა სხვისი შეცდომები გამოასწოროთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ადრიანად უნდა დაიჭიროთ თადარიგი სტუმრების მისაღებად, მაგრამ ნუ შეეცდებით ახლობლების გაოცებას კულინარიული შედევრებით — ისინი საჭმელად კი არა, თქვენთან დროის სასიამოვნოდ გასატარებლად მოვიდნენ.

ᲚᲝᲛᲘ — შეხვედრებით დატვირთული დღე გელით. მოგიწევთ დისკუსიაში ჩაბმა. თქვენი სიმშვიდისა და ლოგიკის წყალობით ვითარებაზე კონტროლს შეინარჩუნებთ და შეხვედრაც სასურველი შედეგით დასრულდება.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — დადგა დრო, გარშემომყოფები გააოცოთ — ყველას დაანახებთ, რა შეგიძლიათ. არადა, თქვენი შესაძლებლობების შესახებ თავადაც არ გაქვთ სრული წარმოდგენა. კარგი დღეა ფინანსებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

ᲪᲘᲪᲜᲝᲠᲘ — შეგიძლიათ, საფუძვლიანად შეცვალოთ ცხოვრება. ცვლილებები ᲰᲘᲠᲐᲓ ცხოვრებაში მხოლოდ სიხარულისა და ჰარმონიის მომტანი იქნება. მხოლოდ ამისთვის გაბედული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — მოთმინება და სიმშვიდე დაგჭირდებათ, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, რაც იოლი სულაც არ იქნება. ეცადეთ, ნაკლები ისაუბროთ სამომავლო გეგმებზე ამ ადამიანებთან, ვისაც ნაკლებად ენდობით.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — განვითარებულმა მოგლეჯებმა, შესაძლოა, ფსიქოლოგიური წონასწორობა დაგაკარგვინოთ, ყველაფრის მიტოვება და, უბრალოდ, დასვენება მოგინდებთ, მაგრამ სამაგიეროდ, დაწყებულ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ურთიერთობაში განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოთ. თქვენი ძველი ნაცნობებიდან ვიღაცას სურს, გამოგიეცნოთ და ავანტიურაში ჩაგითრიოთ. ნურავის მისცემთ საშუალებას, ისარგებლოს თქვენი კეთილგანწყობით.

ᲛᲔᲠᲜᲧᲚᲘ — შეიძლება, დიდი თანხა დახარჯოთ ნივთზე, რომლის შეძენასაც არ აპირებდით და მერე ინანოთ. სამაგიეროდ, შენაძენი დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მოგგვრით.

ᲗᲕᲔᲖᲘᲜᲘ — უჩვეულო ფუნქციების შესრულება მოგიწევთ, თუმცა შეძენილი გამოცდილება უდავოდ გამოგადგებათ. უარს ნუ იტყვით სიახლეებზე, სადამას კი მეგობრებთან ერთად გასართობად წადით.

ღვინის ნაცვლად მინერალური წყალი

უკრაინაში, ივანოვო-ფრანკოვსკის ოლქში მდებარე სოფელ ზალუკვას მაცხოვრებლებმა ალკოჰოლური სასმელის მიღებაზე უარი განაცხადეს ქრისტიანული რწმენისა და ახლობლების გამო. „მშრალ კანონს“ ასზე მეტი ადგილობრივი იცავს, სპირტიანი სასმელის მოხმარებაზე უარის თქმის პირობა კი სპეციალურ „სიფხიზლის ოქროს წიგნშია“ დაფიქსირებული, რომელსაც ადგილობრივ ეკლესიაში ინახავენ და პირობას არც დიდ დღესასწაულებზე არღვევენ. ქორწილებში სუფრაზე, ღვინის ნაცვლად, მინერალური წყლის ბოთლები დგას, თუმცა ამის გამო, სადღესასწაულო განწყობა არავის უფუჭდება. სოფელში ახლა სიმშვიდეა: კლუბებსა თუ მაღაზიებში არავინ ჩხუბობს, რადგან ყველა ფიზიზელია. ნარკოლოგები განმარტავენ, რომ ალკოჰოლზე დამოკიდებულებას რწმენა კურნავს, თუმცა ამ გამოცდას ყველა ვერ გაუძლებს.

ბერლუსკონიმ მალულად იქორწინა

იტალიის ოდიოზური ექსპრემიერი, 77 წლის სილვიო ბერლუსკონი და მისი საყვარელი ქალი, 28 წლის ფრანჩესკა პასკალე ჩუმად დაქორწინდნენ, ინფორმაცია წყვილის მეგობარმა მერიტელ პოლანკომ გაავრცელა. პრესის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, რომ ქორწინების ცერემონია სამი კვირის წინ მილანში, ბერლუსკონის ვილაზე შედგა, თუმცა როგორც ექსპრემიერის ახლობელი აცხადებს, სილვიოსა და ფრანჩესკას ქორწინება ოფიციალურად არ დაურეგისტრირებიათ — მხოლოდ ჯვარი დაიწერეს იქვე არსებულ სამლოცველოში. ყოფილი პრემიერი აქამდე ორჯერ იყო დაქორწინებული. 2009 წელს, სექსუალური ხასიათის სკანდალების გამო, სილვიოს მეორე მეუღლე, მსახიობი ვერონიკა ლარიო გაშორდა. პასკალეს კი, რომელიც ყოფილი მოდელი და ბერლუსკონის პარტიის აქტივისტია, პოლიტიკოსი შვიდი წელია იცნობს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	9	4	3	1	8	7	6	5
3	7	1	4	5	6	2	9	8
8	6	5	7	2	9	4	1	3
5	4	2	1	9	3	8	7	6
1	3	9	6	8	7	5	4	2
7	8	6	5	4	2	9	3	1
6	2	8	9	3	4	1	5	7
4	1	3	2	7	5	6	8	9
9	5	7	8	6	1	3	2	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	4	3	8	9	2	6	7	1
8	2	1	7	3	6	5	9	4
9	7	6	1	5	4	3	2	8
7	6	8	5	4	3	2	1	9
1	3	5	2	7	9	4	8	6
2	9	4	6	1	8	7	5	3
6	5	9	4	2	1	8	3	7
4	1	2	3	8	7	9	6	5
3	8	7	9	6	5	1	4	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	7	5	3	9	2	4	8	1
8	9	2	1	4	6	5	7	3
1	4	3	5	8	7	9	2	6
5	2	4	9	7	3	1	6	8
7	1	9	6	5	8	3	4	2
3	8	6	2	1	4	7	5	9
4	6	1	8	3	5	2	9	7
9	5	8	7	2	1	6	3	4
2	3	7	4	6	9	8	1	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	9	8	6	1	7	5	4	3
5	7	1	4	3	2	9	8	6
6	4	3	8	5	9	2	7	1
9	5	7	3	8	1	6	2	4
1	6	4	7	2	5	3	9	8
8	3	2	9	6	4	7	1	5
7	8	9	5	4	6	1	3	2
4	2	6	1	9	3	8	5	7
3	1	5	2	7	8	4	6	9

მე-9 გვერდი: 1. ჰავანა; 2. ამარეტო;’ 3. აკიდო; 4. „ქაჯანა“; 5. ავრორა; 6. არიელი; 7. ბეკარი; 8. დეკა; 9. ჟიგოლო; 10. პრაიდი; 11. ილიამნა; 12. კარკასი; 13. ანოა; 14. „პეჟო“; 15. რილკე; 16. ატამანი; 17. ალია; 18. ელიტა; 19. აზატი; 20. ბემბი; 21. ვოინიჩი; 22. აკვარელი; 23. ტოგა; 24. კუსტო; 25. სნო; 26. ალაო 27. კლოდ მონე; 28. საბონისი; 29. მოა; 30. იმპერიალი; 31. ბლიცკრიგი; 32. გომბიო; 33. ლუკ; 34. ალიოხინი; 35. ადლი; 36. რისკი; 37. ობსიდიანი; 38. ვოიტილა; 39. ვოიტილა; 40. აგა; 41. უმა; 42. ეილერი; 43. ივნისი; 44. მინა; 45. ვენა; 46. რისვი; 47. მცველი; 48. აარონი; 49. დოჰა; 50. ელჩიბეი; 51. კოლი; 52. ჰავაი; 53. დუ; 54. კოლინ; 55. ანა; 56. რიბოზა; 57. ხატი; 58. მედიანა; 59. გირი; 60. რაეო; 61. ნუნუ; 62. ოპუნცია; 63. ორისი; 64. „აივენჰო“; 65. რაბლე; 66. ტაიმ; 67. უნო; 68. ლია; 69. ნოინი; 70. გომორი; 71. სან; 72. ჰონსიუ; 73. ჰაე; 74. სტარტი; 75. ადიტი; 76. დირე; 77. პიცა; 78. ფაუ; 79. პან; 80. საფინა; 81. ჰა; 82. სენა; 83. გერმანია; 84. რენომე.

მე-12 გვერდი: 1. „ბაია“; 2. ტრიუმვირატი; 3. სკოპიე; 4. სევანი; 5. არესი; 6. ბიატლონი; 7. ბესტიარიუმი; 8. ლაერტი; 9. პატროკლე; 10. იანკი; 11. ოლარი; 12. აისბერგი; 13. რეი; 14. არ; 15. ემუ; 16. ასპასია; 17. ეკლსტოუნი; 18. კილიტა; 19. გალო; 20. იგლუ; 21. იობი; 22. ბაასი; 23. იურგენ; 24. აბვერი; 25. ფროიდი; 26. ენდემი; 27. კენზო; 28. ნაკადული; 29. ავრალი; 30. ოტია; 31. „პრიმა“; 32. ბალისტა; 33. აბა; 34. ერი; 35. ბულსარა; 36. რაკია; 37. პრესტო; 38. გრეი; 39. ესკულაპი; 40. ევრაზია; 41. კარლო; 42. მერი; 43. ანუ; 44. უსამი; 45. ნიშადური; 46. შპრეე; 47. დიდგორი; 48. კამა; 49. მინელი; 50. ტირადა; 51. ეკი; 53. კონა; 52. კოელიო; 54. ბილინა; 55. ბუ; 56. კიდე; 57. მი; 58. მოლა; 59. სი; 60. ლანდი; 61. სკიბობი; 62. გერუსია; 63. გო; 64. რემა.

1. რუსეთის დედაქალაქი
2. განდევნა, გაძევება
3. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
4. ქარიბდას მეწყვილე ურჩხული
5. ბულგარული ნათელმხილველი
6. ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი
7. ქეთევანის გვარი „მონანიებაში“
8. ქართული მითოლოგიის ღვთაება
9. დარტანიანის სატრფოს სახელი
10. ჰავაელთა მინიგიტარა
11. ჯუზეპე ვერდის ოპერა
12. რკინის და ნიკელის შენადნობი
13. ფეიხბურთის კარში გატანილი ბურთი
14. ხარების ბრძოლა ესპანეთში
15. ძველბერძენი ფილოსოფოსი
16. გაზაფხულის ყვავილი
17. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
18. მსახიობი ... პაჩინო
19. ბუნებრივი აირის ძირითადი კომპონენტი
20. ინგლისური სქელი ლუდი
21. კანადის ოლიმპიური ქალაქი
22. მუქი ლურჯი საღებავი
23. იტალიელი დრამატურგი
24. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
25. საქართველოს პატრიარქის სახელი
26. კავკასიის მთიელთა სოფელი
27. პატიმრის დასასჯელი ოთახი
28. ზევსის რომაელი „კოლეგა“
29. ზღვის ქაფიდან შობილი ქალღმერთი
30. დიონისეს მეგობარი, რომლის თავზეც მეფემ ძუით ხმალი დაკიდა
31. იაპონიის იმპერატორთა ტიტული
32. აეროპორტი ჰელსინკში
33. ყირგიზ. დედაქალაქის საბჭოური სახელი
34. ყურანის ცალკეული თავი
35. ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი
36. რომაელი მხედართმთავარი
37. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
38. პლან. ვენერას ძველქართ. სახელი
39. ინგლის. მომღერალი ქალი
40. ბიბლიური პერსონაჟი, აბრა-ამის ძმისწული
41. სახოტბო ლექსი
42. იგივეა, რაც გაზი
43. მცენარეული თხევადი ცხიმი
44. ძაღლის ჯიში
45. რუსი პოეტი
46. თოვლის კაცი
47. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.
48. მთავარი დასაყრდენი, ბურჯი
49. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
50. საქონლის წონა ჭურჭლიანად, შეფუთვიანად
51. უკრაინ. პარლამენტი
52. ... აზიმოვი
53. საქართველო-რუსულად
54. პატარა გამოქაბული კლდეში
55. იაპონიის საერთაშ. აეროპორტი
56. აღმოსავლ. ხემიანი საკრავი
57. ჩინური საბრძოლო ხელოვნება
58. „ხელის ჭეშკი“
59. ძალიან იშვიათი ნივთი
60. ინგლ. გიტარისტი კრის ...
61. დათა თუთაშხიას და
62. თვალის ფერადი გარსი
63. რუსული ავტომარკა
64. მთა გარეკახეთში

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდეგმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.